

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 2012 წლის
სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების ანგარიში

მედიცინის ფაკულტეტი

2012 წ.

თერაპიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, თბილისი 0159, ლიუბლიანას ქ. 2.

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: მედიკამენტოზური მკურნალობის ოპტიმიზაცია და რაციონალიზაცია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: პროფესორი ვახტანგ ჭუმბურიძე

პერსონალი: პროფ. ალექსანდრე ალადაშვილი, პროფესორი პავლე მაჭავარიანი, მედიცინის დოქტორები არჩილ ჩუხრუკიძე, თამარ კიკალიშვილი, მაკა გეგენავა.

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): მკურნალობის თანამედროვე პრინციპების დანერგვა კარდიოლოგიაში, გაიდლაინების იმპლემენტაცია, საერთაშორისო ეპიდემიოლოგიური და ობსერვაციული კვლევების წარმოება, მულტინაციონალური, მულტიცენტრული კლინიკური კვლევების წარმოება

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა):

- „ხარისხიანი კლინიკური პრაქტიკის“ პრინციპების დანერგვა და განხორციელება საერთაშორისო გაიდლაინების მიხედვით
- ავადმყოფთა ამბულატორული მიღება, ჰოსპიტალიზაცია და სკრინინგი მიმდინარე კვლევების საჭიროების გათვალისწინებით
- ურთიერთობა კლინიკური კვლევების დამკვეთთან და ადექვატური შეთანხმების მიღწევა
- წამალთა რაციონალური გამოყენების პრინციპების გამოყენება
- მიმდინარე კლინიკური კვლევების ადექვატური მართვა

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: კალენდარული წლის (6 თვის) მანძილზე წარმოებული კვლევები:

- ალდოსტრონის ანტაგონისტების გამოყენება გულის დიასტოლური უკმარისობის დროს (NIH, TOPCAT)
- ნიტრატების კლინიკური ეფექტურობის შეფასება პაციენტებში სტაბილური სტენოკარდიით (CLEOPATRA)
- რანოლაზინის (მეტაბოლური თერაპია) ეფექტურობის შესწავლა პაციენტებში სტენოკარდიით და საქრიანი დიაბეტით ტიპი 2
- კორვიტინის (მეტაბოლური თერაპია) ეფექტურობის შეფასება მწვავე კორონარული სინდრომის დროს
- თირკმლის ქრონიკული უკმარისობის კორექციის საშუალებათა შესწავლა საქრიანი დიაბეტის ტიპი 2 დროს
- ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მონიტორინგი და კმურნალობა თანამედროვე ინჰალაციური ბრონქოდილატატორებით

- გულის უკმარისობის ეპიდემიოლოგიის შესწავლა თბილისის მასშტაბით

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.): კვლევის შემსრულებლები მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში : ევროპის კარდიოლოგთა კონგრესი (მიუნხენი, აგვისტო-სექტემბერი 2012), თურქეთის გულის უკმარისობის მართვის კონფერენცია (სტამბული, ნოემბერი 2012)

კვლევის დამფინანსებელი ორგანიზაცია/ფონდი (არსებობის შემთხვევაში): ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოება

* * *

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): თსუ, მედიცინის ფაკულტეტი, თერაპიის დეპარტამენტი, გუდამაყრის 2, 2613111, bezhan_tsinam@hotmail.com

მეცნიერების დარგი: სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერება

სამეცნიერო მიმართულება: მედიცინა

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: ხელმძღვანელი - ბეჟან წინამძღვრიშვილი, სრული პროფესორი; ნინო შარაშიძე, ასოცირებული პროფესორი; ნინა მამამთავრიშვილი, ასისტენტ-პროფესორი; რუსუდან აბაშიძე, ასისტენტ-პროფესორი; ალინა პეტრიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი.

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): მიოკარდიუმის პერფუზიის კვლევის შესაძლებლობები კორონარული ცირკულაციის სხვადასხვა დარღვევათა პროგნოზირებისა და კორექციული მიდგომების ოპტიმიზაციისათვის

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): მიოკარდიუმის პერფუზიისა და სიცოცხლისუნარიანობის (viability) კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ეპიკარდიული კორონარული არტერიების დაავადების პროგნოზირებისა და კორექციის გზების დაგეგმვისათვის. მხოლოდ წლებში ინტენსიურად შეისწავლება გამოსახულებითი კვლევის სხვადასხვა მეთოდების სადიაგნოსტიკო-პროგნოზული შესაძლებლობები კორონარული დაავადების, როგორც სტაბილური ასევე მწვავე ფორმების დროს. დაგროვილი მასალის ანალიზი საფუძველს იძლევა მოსაზრებისათვის, რომ მიოკარდიუმის პერფუზიის კვლევის ერთ-ერთი მაღალინფორმატიული მეთოდია MRI. განსაკუთრებით პრესპექტიულად გამოიყურება მეთოდის შესაძლებლობები დაავადების დინამიკის კვლევის თვალსაზრისით რადიაციის არ-არსებობის გამო. თუ გავითვალისწინებთ, რომ მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა წარმოადგენს ოქროს სტანდარტს გულის ღრუებისა და კედლების სტრუქტურის, აგრეთვე სისტოლურ –დიასტოლური ფუნქციის შესაფასებლად, გასაგები ხდება მისი გამოყენების მიზანშეწონილობა მიოკარდიუმის იშემიის პროგნოზული შეფასების თვალსაზრისით. კორონარული დაავადების დროს რევასკულარიზაციის ჩვენების შეფასებისა და კორონარული ინტერვენციის სახეობის დაგეგმვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოსტ-სტენოზური

პერფუზიისა და მიოკარდიუმის სიცოცხლისუნარიანობის შეფასებას, რამდენადაც რევასკულარიზაციის შედეგი და განსაკუთრებით შორეული პროგნოზი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზემოაღნიშნულ პარამეტრებზე. პოსტ-სტენოზური პერფუზია, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა კომპენსირებული იყოს კოლატერალური სისხლისმიმოქცევით და არ საჭიროებდეს რევასკულარიზაციას

შესწავლილი იქნება მიოკარდიუმის პერფუზიის ხარისხზე ზოგიერთი არაკორონარული ჰემოდინამიური ფაქტორის გავლენა:

- მიოკარდიუმის კონტრაქტილობის ცვლილება
- აორტის სტრუქტურული ცვლილებები (კედლის რიგიდობის მატება)
- რეზისტულ სისხლძარღვთა სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებები
- სისტემური და ორგანული მიკროცირკულაციური და რეოლოგიური ცვლილებები

აღნიშნული პათოფიზიოლოგიურ დეტერმინანტები განსაკუთრებით აქცენტრებულად შეისწავლება პაციენტებში დიაბეტით, დაქვეითებული განდევნის ფრაქციით, სისტოლური იზოლირებული ჰიპერტენზიით, განსაკუთრებით მაღალი ასაკობრივი ჯგუფის ინდივიდებში.

კვლევა წარიმართება ყურადღების ფოკუსირებით გენდერულ განსხვავებებზე . შესაბამისად, შესწავლილი იქნება:

1. მიოკარდიუმის იშემიის ეტო-პათოგენეზური სტრუქტურა ქალებში (ეპიკარდიული კორონარული არტერიების დაზიანება, მიკროვასკულური დაზიანება, სხვა მიზეზები)
2. მწვავე კორონარული სინდრომის (მიოკარდიუმის იშემიაზე საექვო მდგომარეობების) ეტიოლოგიური სტრუქტურა ქალებში.
3. ეპიკარდიული კორონარული არტერიების დაზიანებათა თავისებურებები ქალებში.
4. ეპიკარდიული კორონარული დაზიანებების დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების ოპტიმალური გზები (ქალებში)
5. მწვავე კორონარული სინდრომის გამოსავალი ქალებში.
6. მწვავე კორონარული სინდრომის დროს PCI-ს გართულებათა სიხშირე და სტრუქტურა ქალებში
7. წვავე კორონარული სინდრომის დგამო ჩატარებული PCI-ს შემდგომი ინტრაჰოსპიტალური და შორეული გამოსავალი ქალებში.
8. კორონარული დაავადების თავისებურებები რეპროდუქციული ასაკის ქალებში

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: შემუშავდა კვლევის კონცეფცია, ჩატარდა პილოტური კვლევები კორონარული დაავადების გენდერული ასპექტების შესწავლის მიმართულებით. შედეგები წარმოდგენილი იყო საერთაშორისო სამეცნიერო შეხვედრებზე.

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):
CARDIOVASCULAR RISK FACTORS AND ECG SCREENING RESULTS IN MIDDLE AGED WOMEN.
Journal of Hypertension Vol 30, e-Supplement A, e578, PP.40.328,2012.

Failure of Arterial Hypertension Control in Georgian Reproductive Age Women. *Journal of Hypertension Vol 30, e-Supplement A, April 2012.*

* * *

ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტი,

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტი, “ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი”, თბილისი 0159, ლიუბლიანას ქ. 2/6.

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: ენდოკრინოლოგია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: ელენე გიორგაძე, მარინა ცაგარელი, მარინა ლომიძე, ნინო ჯიქურაული, მედეა ამაშუკელი, შოთა ჯანჯღავა, ლაშა უჩავა, შორენა შანავა, ნანა ხაჩიძე.

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური):

1. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა გავლენა ძვლოვანი ქსოვილის მეტაბოლიზმზე და ოსტეოპოროზული მოტეხილობის განვითარების რისკზე
2. ანდროგენდეფიციტი და ინსულინრეზისტენტობა სიმსუქნით დაავადებულ მამაკაცებში.
3. იოდდეფიციტი საქართველოს რეგიონის სასკოლო ასაკის ბავშვებში
4. ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევის გავლენა ძვლის მინერალური სიმკვრივის მაჩვენებელზე.
5. ძვლის მინერალური სიმკვრივის შესწავლა მეტაბოლური დარღვევებისა და კალციმიმეტური რეგულაციის დარღვევის დროს

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): ოსტეოპოროზი არის ძვლების სისტემური დაავადება, რომლის გამოვლინებები – ძვლოვანი ქსოვილის მასის შემცირება და მისი მიკროარქიტექტონიკის დარღვევა, განაპირობებენ ძვლის სიმტკიცის დაქვეითებას და მოტეხილობის რისკის გაზრდას. დადგენილია, რომ ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები გავლენას ახდენენ ძვლოვანი

ქსოვილის ზრდასა და განვითარებაზე. მეორადი ოსტეოპოროზის გამოწვევ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს. ლიტერატურაში არსებული მონაცემებით, დაფიქსირებულია ფარისებრი ჯირკვლის ზოგიერთი დაავადების გავლენა ძვლოვანი ქსოვილის მეტაბოლიზმზე და ოსტეოპოროზული მოტეხილობის განვითარების რისკზე. საქართველოში ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მაღალი გავრცელების გამო, აქტუალურია თირეოიდული ანუ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებთან დაკავშირებული ოსტეოპოროზის შესწავლა და დროული გამოვლენა.

დღეისათვის დადასტურებულია, რომ ტესტოსტერონის დაბალი დონე სისხლში შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად სიმსუქნისა და ინსულინრეზისტენტობის ჩამოყალიბებაში (И. И. Дедов; С. Ю. Каличенко). აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩატარებული მრავალი კვლევის მიუხედავად, ჯერ კიდევ საკამათოა საკითხი, თუ რომელი ზემოაღნიშნული პათოლოგიაა პირველადი: ანდროგენდეფიციტი, ინსულინრეზისტენტობა თუ სიმსუქნე.

იოდის დეფიციტით გამოწვეული დაავადებები მიეკუთვნება ყველაზე გავრცელებულ არაინფექციურ დაავადებათა რიცხვს. 1,5 მილიარდ ადამიანს მსოფლიოში სავარაუდოდ აქვს მიკროელემენტ იოდის ფარულად მიმდინარე ნაკლოვანება, ხოლო 655 მილიონს იოდის დეფიციტის გამო უკვე აღნიშნება ფარისებრი ჯირკვლის როგორც სტრუქტურული, ასევე ფუნქციური ცვლილება. ჯანმო-ს მონაცემებით გამოხატული იოდდეფიციტის რეგიონებში მცხოვრებთა ინტელექტუალური კოეფიციენტი (IQ-ინდექსი) 13,5 ქულით ნაკლებია ამავე ქვეყნის არაიოდდეფიციტურ რეგიონებში მცხოვრებ პოპულაციასთან შედარებით. ამის მიზეზი იოდდეფიციტური მდგომარეობის არასასურველი ზეგავლენაა ცენტრალური ნერვული სისტემის ფორმირებაზე, პირველ რიგში, ორსულობის დროს და პერინატალურ პერიოდში.

ნუტრიციოლოგიის ეროვნული ცენტრის 2003 წ. მონაცემებით საქართველოში 1997-2003 წლებში ზრდასრულ და სკოლის ასაკის მოსახლეობაში კვლავ მაღალია იოდდეფიციტური დარღვევების შემთხვევები.

ლიტერატურაში არსებული მონაცემებით, ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევა და ლეპტინის დონე სისხლში გავლენას ახდენს ძმს-ზე. კერძოდ, ზოგიერთი ავტორის აზრით, ლეპტინი მაინჰიბირებელ გავლენას ახდენს ძვლის ფორმირებაზე. თუმცა ლიტერატურული მონაცემები მწირია და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი.

უკანასკნელ ხანებში გამოიკვეთა ტენდენცია რომ, რემოდელირების სტადიაში მონაწილე ოსტეობლასტების დიფერენცირებასა და ადიპოციტების (ლიპიდური მეტაბოლიზმის) უჯრედულ მექანიზმებს შორის არსებობს ასოციაციური კავშირები. დისლიპიდემიის გამოვლინება და ათეროგენობა პირდაპირ კორელირებს ძვლის ფორმირების დათრგუნვასთან. არსებობს მონაცემები, რომ ანტიათეროგენული თერაპია დადებით ზეგავლენას ახდენს ძმს-ის დაქვეითებულ მაჩვენებლებზე და ანტიოსტეოპოროზული თერაპია პოზიტიურად მოქმედებს დისლიპიდემიის პარამეტრების კორექციაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევების მიზანს შეადგენდა:

- ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიის, კერძოდ დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვით გამოწვეული თირეოტოქსიკოზის, ასევე პირველადი ჰიპოთირეოზის დროს ჩანაცვლებითი თერაპიის ფონზე სხვადასხვა ასაკის ქალებში ძვლის მინერალური სიმკვრივის შეფასება, ოსტეოპოროზის და

ოსტეოპენიის გავრცელების შესწავლა, ფარისებრი ჯირკვლის დაავადების მკურნალობის სხვადასხვა მეთოდის, დაავადების ანამნეზის ხანგრძლივობის დადგენა ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე.

- ანდროგენდეფიციტის, ინსულინრეზისტენტობის და სიმსუქნის სიმპტომოკომპლექსის გამწვავები მექანიზმის შესწავლა, მათი ურთიერთ დამოკიდებულება და კორელაციური თავისებურებანი სიმსუქნით დაავადებულ მამაკაცებში, ასევე ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპიის გავლენის შესწავლა სხეულის წონასა და ინსულინრეზისტენტობაზე და მკურნალობის ოპტიმალური მეთოდების განსაზღვრა.

- იოდდეფიციტის გავრცელების შესწავლა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სასკოლო ასაკის ბავშვებში

- ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევისა გავლენის შესწავლა ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე.

- დისლიპიდემიისა და ძმს-ს დაქვეითების შესწავლა ანტიოსტეოპოროზული თერაპიის ინიცირებამდე და ანტიოსტეოპოროზული თერაპიის შემდგომ პერიოდში და აგრეთვე ჰიპოლიპიდემიური დიეტისა და ცხოვრების წესის მოდიფიკაციის ფონზე - შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე პაციენტებში (კვლევა დაწყებულია 2011 წლის სექტემბრიდან, მიმდინარეობს მასალის შეგროვება).

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები:

- კვლევის შედეგად გამოვლინდა ძვლის მინერალური სიმკვრივის სტატისტიკურად სარწმუნო დაქვეითება მანიფესტირებული თირეოტოქსიკოზის ჯგუფში, განსაკუთრებით ბარძაყის ყელის მიდამოში. ძირითადი დაავადების ეფექტური კონსერვატიული მკურნალობის ფონზე აღინიშნება ძვლის მინერალური სიმკვრივის სწრაფი ნორმალიზება, მკურნალობის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ პროქსიმალური ბარძაყის მინერალური სიმკვრივე დაუბრუნდა ნორმას, ხოლო ტრაბეკულური ძვლის აღდგენა გრძელდებოდა 1-2 წლის განმავლობაში. გამოვლენილ იქნა მჭიდრო და სარწმუნო კორელაციური ურთიერთკავშირები ანტითირეოტროპული ანტისხეულების დონესა და ბარძაყის ძვლის მინერალურ სიმკვრივეს შორის. პირველადი ჰიპოთირეოზის დროს ჩანაცვლებითი თერაპიის ფონზე აღმოჩნდა დაქვეითებული ძვლის მინერალური სიმკვრივე პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში, ამასთან, ბარძაყის ძვლის ძმს კორელირებდა დაავადების ანამნეზის ხანგრძლივობასთან. რეპროდუქციული ასაკის ქალებში კი ძვლის მინერალური სიმკვრივის ცვლილებები არ გამოვლინდა.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები წარმოადგენენ ოსტეოპოროზისა და ოსტეოპენიის განვითარების რისკის ფაქტორს პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში და გავაკეთოთ რეკომენდაცია, რომ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების დროს დროულად იქნას ჩატარებული ძვლის მინერალური სიმკვრივის გამოკვლევა ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრიით.

- პაციენტებს, რომელთაც დაუფიქსირდათ ტესტოსტერონის დაბალი დონე, აღინიშნებოდათ უკუკავშირი სხეულის მასის ინდექსთან (სმი) და ინსულინ რეზისტენტობის ინდექსთან, რაც უფრო მაღალი იყო სმი მით უფრო დაბალი იყო ტესტოსტერონის დონე. მსგავსი უკუკორელაცია დაფიქსირდა HOMA-1-თან მიმართებაშიც. შესაბამისი თერაპიის შემდეგ შეიმჩნეოდა ლიპიდური ცვლის დადებითი დინამიკა. ტესტოსტერონის დონემ მოიმატა ყველა ჯგუფში, მაგრამ მკვეთრი მატება დაფიქსირდა პაციენტებში სიმსუქნით, ინსულინრეზისტენტობითა და ანდროგენდეფიციტით. ამ პაციენტებში ასევე დაქვეითდა სმი. HOMA-1 ინდექსი დაქვეითდა ყველა ჯგუფში, მაგრამ HOMA-

იდ-ის შემცირება მეტად იყო გამოხატული პაციენტებში სიმსუქნითა და ინსულინრეზისტენტობით და პაციენტებში სიმსუქნით, ინსულინრეზისტენტობითა და ანდროგენდეფიციტით. რაც შეეხება ლეპტინის დონეს იგი დეკვიტადა ყველა ჯგუფში თითქმის ერთნაირად, რის გამოც ჯგუფებს შორის სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირებულა.

- ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი დონორ ორგანიზაციებთან ერთად 2009 წლიდან საქართველოს იოდდეფიციტური რეგიონების სკოლებში ახდენდა მოსწავლეთა ფარისებრი ჯირკვლის მდგომარეობის პროფილაქტიკურ ჰუმანიტარულ გასინჯვას, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს იოდდეფიციტურ რეგიონებში სკოლის მოსწავლეთა დროულ სკრინინგსა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას. 2012 წელი დაეთმო აღნიშნული მასალების განხილვას და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას. კერძოდ, დამუშავებული იქნა 21 18 ამბულატორიული ანკეტა, რის საფუძველზეც გამოყვავით ბავშვების 5 ჯგუფი და მივიღეთ შემდეგი მონაცემები:

1. პათოლოგიის გარეშე 15 301
2. ჰიპოთირეოზით 4 578
3. ჰიპერთირეოიდიზმით 285
4. კვანძოვანი ჩიყვით 43
5. აუტოიმუნური თირეოიდიტით 911

- ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევით გამოკვლეული რეპროდუქციული, პრემენოპაუზური და პოსტმენოპაუზური პერიოდის პირები დაყოფილი იქნენ 4 ჯგუფად: სიმსუქნე (I-IV), გლუკოზოტოლერანტობის ნორმალური ტესტით; სიმსუქნე გლუკოზოტოლერანტობის დარღვეული ტესტით (მეტაბოლური სინდრომი); შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2; შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 სიმსუქნის გარეშე. მიმდინარეობს პაციენტების კვლევაში ჩართვა.

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

- 1) Sh.Janjgava, E.Giorgadze, K.Asatiani, T.Zerekidze, L.Uchava, M.Lomidze, Q.Bochorishvili, N.Svani "Obesity, Insulin Resistance and Their Correlation with Testosterone Levels In Caucasian Male Patients", Obesity Facts Suppl #1 (abstract book) p-226-227. 2012 ECO- 2012, Lyon, France. (Poster presentation)
- 2) E. Giorgadze, M. Tsagareli, Sh. Shanava, N. Dolidze, T. Zerekidze. "Relationship between Bone Mineral Density, Leptin and Insulinresistance in Obese Females," "Osteoporosis international with other metabolic bone diseases", Volume 23, Supplement 2, March 2012.
- 3) Sh.Janjgava, E.Giorgadze, K.Asatiani, T.Zerekidze, L.Uchava, M.Lomidze, T.Zerekidze "Obesity, Insulin Resistance and Their Correlation with Testosterone Levels In Male Patients", Journal of Reproductive Medicine and Endocrinology, P325-326, 2012 ECA, Berlin German, (Oral presentation).

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):
"ამერიკის თირეოიდოლოგიის შემსწავლელი ასოციაციის და ევროპის თირეოიდოლოგთა ასოციაციის 2012 წლის რეკომენდაციები ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების მკურნალობის სქემაში. საქართველოს იოდდეფიციტურ რეგიონებში სკოლის მოსწავლეთა სკრინინგის შედეგები", თელავი – დეკემბერი 2012, თბილისი - ოქტომბერი, დეკემბერი 2012.

ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი; ალ. ყაზბეგის გამზ. 16, თბილისი, 0160, საქართველო. ტელ: (995 32) 2 39 80 18, (995 32) 2 39 43 92. ელ.ფოსტა: aids@gol.ge, tengizt@gol.ge; sharvadel@yahoo.com

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: ინფექციური დაავადებები

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: თენგიზ ცერცვაძე, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, ოთარ ჩოკოშვილი, ნათია დვალი, მარინე ქარჩავა, ლია თავაძე, ლევ ზოჰრაბიანი.

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): აივ ინფექციის ინციდენტობის შესწავლა საქართველოში: 2010-2011 წწ.

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): აივ ინფექციის ინციდენტობის შესახებ ცოდნა მნიშვნელოვანია აივ ინფექციის ეპიდემიის თავისებურებების და ტენდენციების შესწავლისათვის.

საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება აივ ინფექციის ახალი შემთხვევების მატების ტენდენცია. გასული 10 წლის განმავლობაში აივ ინფექციის ახალი შემთხვევების რაოდენობა გაოთხმაგდა.

აივ ინფექციის/შიდსის შეჭმარითი ინციდენტობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს აივ ინფექციის გადაცემის თავისებურებების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისათვის და ზოგადად ინფექციის კონტროლისთვის.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა აივ ინფექციის ინციდენტობის შესწავლა საქართველოში 2010-2011 წლებში ე.წ. “ახალი ინფექციის ტესტირების ალგორითმის” გამოყენებით.

რეტროსპექტული კოჰორტული კვლევა ჩატარდა ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრში.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: კვლევაში ჩართული იქნა 2010 და 2011 წელს რეგისტრირებული 724 აივ ინფექცია/შიდსით ავადმყოფი.

2010 წელს ე.წ. “ახალი ინფექციის ტესტირების ალგორითმის” მიხედვით აივ ინფექციის ჭეშმარიტმა ინციდენტობამ შეადგინა 0.03% (95% სარწმუნოების ინტერვალი: 0.00-0.08).

2011 წელს ე.წ. “ახალი ინფექციის ტესტირების ალგორითმის” მიხედვით აივ ინფექციის ჭეშმარიტმა ინციდენტობამ შეადგინა 0.02% (95% სარწმუნოების ინტერვალი: 0.00-0.06).

144 აივ ინფექციით ახლად დაინფიცირებული პაციენტების ინფიცირების გზას წარმოადგენდა ჰეტეროსექსუალური კონტაქტი.

ახლად დაინფიცირებული პაციენტების უმრავლესობა იყო 30 წლამდე ასაკის. პაციენტების უმრავლესობა მიეკუთვნებოდნენ ჰომოსექსუალური კავშირის მქონე პირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ვირუსული ჰეპატიტების მაღალი პრევალენტობის გათვალისწინებით, კვლევამ ცხადყო ვირუსული ჰეპატიტებით კოინფექციის კორელაცია ახალი აივ ინფექციის შემთხვევებთან. კერძოდ, B ჰეპატიტით და C ჰეპატიტით კოინფიცირებულ პაციენტებში ახალი აივ ინფექციის შემთხვევები ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

ახალი აივ ინფექციის რისკ ფაქტორები (პრედიქტორები) შეფასდა მულტივარიაციული ლოჯისტიკური რეგრესიის მეთოდით. ახალი აივ ინფექციის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს წარმოადგენდა ახალგაზრდა ასაკი (რისკების ფარდობა: 5.71), ჰომოსექსუალური გზით დაინფიცირება (რისკების ფარდობა: 2.68) და ვირუსული ჰეპატიტებით კოინფექცია. უნივარიაციულმა ანალიზმა დაადასტურა სარწმუნო კავშირი ვირუსული ჰეპატიტებით კოინფექციასა და ახალი აივ ინფექციას შორის, თუმცა მულტივარიაციული რეგრესიის ანალიზში ეს ასოციაცია სარწმუნო აღარ იყო.

კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში 2010 და 2011 წლებში აივ ინფექცია/შიდსის ინციდენტობას სტაბილური ხასიათი ჰქონდა.

“ახალი ინფექციის ტესტირების ალგორითმის” მეთოდით მიღებული ჭეშმარიტი ინციდენტობის მაჩვენებელი 4-ჯერ აღარბებს გამოვლენილი აივ ინფექციის ახალი შემთხვევების რეალურ მაჩვენებელს საქართველოში. ახლად დაინფიცირებული პაციენტების დაახლოებით 40%-მა არ იცის თავიანთი აივ სტატუსის შესახებ. შესაბამისად, ხდება მათი გვიანი გამოვლენა, რის გამოც ისინი ინფექციის პოტენციურ წყაროს წარმოადგენენ და საშიშროებას ქმნიან საზოგადოებისათვის აივ ინფექციის გადაცემის თვალსაზრისით.

კვლევის შედეგებმა ასევე ცხადყო, რომ აივ ინფექციის პრევალენტობა ორსულ ქალებში დაბალია, რაც მიანიშნებს კონცენტრირებული ეპიდემიის არსებობაზე მაღალი რისკის ჯგუფებში (ინექციური ნარკომანები, ჰომოსექსუალები, ხშირი დაუცველი სქესობრივი კავშირის მქონე პირები და ა.შ.).

საქართველომ შესძლო თავიდან აეცილებინა აივ ინფექციის ფართომასშტაბიანი ეპიდემია. ახლა კი დღის წესრიგში დგას ეპიდემიის შეჩერებისა და უკუგანვითარების საკითხი. აივ ინფექციის ეპიდემიის შეჩერებისა და უკუგანვითარების ყველაზე ეფექტურ გზას კი წარმოადგენს აივ ინფიცირებულთა ადრეული გამოვლენა და დროული მკურნალობა.

კვლევის დამფინანსებელი ორგანიზაცია/ფონდი (არსებობის შემთხვევაში): გაეროს შიდსის პროგრამა (UNAIDS).

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: ლ. შარვაძე, თ. კაკაბაძე, ფ. გაბუნია, ნ. ბოლოკაძე, ნ. მაჭარაშვილი, მ. ენდელაძე, ლ. ძიგუა, მ. მირზიაშვილი, თ. ცერცვაძე.

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): აივ ინფექცია/შიდსის ოპორტუნისტული ინფექციების და კოინფექციების მართვის გაუმჯობესება საქართველოში 2011-2015 წლებში.

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა):

ღონისძიება I. მიკობაქტერიული ინფექციების დიაგნოსტიკის გაუმჯობესება და ატიპიური მიკობაქტერიული დაავადებების მკურნალობა

აივ/შიდსით ავადმყოფებში აქტიური ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა გართულებულია. პროექტი ითვალისწინებს ტუბერკულოზის მიკობაქტერიის დიაგნოსტიკის (მგბ-დიაგნოსტიკა, ნახველში ტუბერკულოზის მიკობაქტერიების დნმ დიაგნოსტიკა) მიღებული და თანამედროვე მეთოდების დანერგვას ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში.

ღონისძიება II. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია სკრინინგის უზრუნველყოფის გზით

საშვილოსნოს ყელის კიბო შიდს-ინდიკატორული სიმსივნეა. აივ ინფიცირებულ ქალებში ცერვიკალური ინტრაეპითელური ნეოპლაზიის რისკი 5-10-ჯერ მაღალია, მათი Pაპ ნაცხი პათოლოგიურია შემთხვევათა 20- 40%-ში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის რუტინულად დანერგვა, რაც მოიცავს: საშვილოსნოს ყელის ნაცხის ციტოლოგიური გამოკვლევას პაპანიკოლაუს შედეგის მეთოდით და პათოლოგიური ნაცხის შემთხვევებში პაპილომავირუსის მაღალი ონკოგენობის მქონე ვირუსის იდენტიფიკაციისთვის PHV DNკვლევა პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის მეთოდით.

ღონისძიება 3. სოკოვანი ინფექციების მართვის გაუმჯობესება

სოკოვანი ინფექციები აივ/შიდსთან ასოცირებული ხშირი ოპორტუნისტული ინფექციებია. სოკოვანი ოპორტუნისტული ინფექციების უმრავლესობა კარგად ექვემდებარება ანტიმიკოზურ თერაპიას, მაშინ როდესაც დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გარეშე მთავრდება ლეტალური გამოსავალით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ზემოთ აღწერილი ოპორტუნისტული სოკოვანი პათოგენების იდენტიფიცირებისთვის შესაბამისი მორფოლოგიურ-კულტუროლოგიურ-მოლეკულური ლაბორატორიული მეთოდების დანერგვა.

ღონისძიება 4. აივ ინფექციის და C ჰეპატიტის კო-ინფექციის მართვა და მკურნალობა

HIV/HBV კოინფექცია დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში აივ ინფიცირებულ პირთა ავადობისა და სიკვდილობის თვალსაზრისით. ყოველი მეორე აივ ინფიცირებული პირი კოინფიცირებულია C ჰეპატიტის ვირუსით. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო საქართველოში აივ ინფიცირებულ პირთა კლინიკური მართვის თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობა აქვს C ჰეპატიტის მკურნალობას.

პროექტის მიზანია აივ ინფექცია/შიდსით ავადმყოფებში C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობა.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: პროექტის ფარგლებში ანტივირუსული მკურნალობა ჩაუტარდა 114 HCV/HIV კოინფიცირებულ ავადმყოფს. წინასწარი მონაცემებით, 30 ავადმყოფთან მკურნალობა დასრულდა წარმატებით, თუმცა საბოლოო დასკვნების გაკეთება მოხდება მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირის შემდეგ.

proeqtis farglebSi პროექტის ლაბორატორიულმა პერსონალმა გაიარა მოკლევადიანი სტაჟირება/ტრენინგი ემორის უნივერსიტეტში (ქ. ატლანტა, აშშ) tuberkulozuri da araturberkulozuri Sids-indikatoruli daavadebebis diagnostikის საკითხებზე.

პროექტში ჩართული კლინიცისტები დაესწრნენ საერთაშორისო კონფერენცებს აივ ინფექციის და C ჰეპატიტის კონფერენციების საკითხებზე.

ასევე proeqtis farglebSi ცენტრში დაინერგა ტუბერკულოზის მიკობაქტერიებისა და მიკოზების სადიაგნოსტიკო თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდები.

2012 წელს საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი ნაშრომები და პუბლიკაციები

HIV in Europe 2012 Copenhagen Conference. 18-19 March, 2012. Copenhagen, Denmark.

Factors associated with late HIV diagnosis in Georgia. Chkhartishvili N, Rukhadze N, Sharvadze L, Gabunia P, Gamkrelidze A, **Tsertsvadze T.** Abstract no. PS5/03. სასტენდო მოხსენება.

22nd European Congress of Clinical Microbiology and Infectious Diseases (ECCMID). 31 March-3 April, 2012. London, UK.

Late HIV diagnosis in Georgia: reasons and consequences. N. Chkhartishvili, N. Rukhadze, L. Sharvadze, P. Gabunia, A. Gamkrelidze, T. Tsertsvadze. Abstract no. P2143. სასტენდო მოხსენება.

HIV/AIDS-associated visceral leishmaniasis in Georgia. N. Bolokadze, P. Gabunia, L. Sharvadze, L. Gatsrelia, T. **Tsertsvadze.** Abstract # P2402. სასტენდო მოხსენება.

14th international Symposium on Viral Hepatitis and Liver Disease to be held in Shanghai 22-25 June, 2012.

IL28B favorable genotype and ultrarapid viral response as the earliest treatment predictors of a sustained viral response in a Georgian cohort infected with the hepatitis C genotype 1. Karchava M, Sharvadze L, Chkhartishvili N, Nelson K, Gochitashvili N, Gatsrelia L, Dvali N, Dolmazashvili E, Dzigua L, Badridze N, Zhamutashvili M, **Tsertsvadze T.** ზეპირი მოხსენება.

მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები/სტატიები

1. Procalcitonin as a marker of bacterial sepsis in immunocompromised patients. L. Gatsertelia, L.Sharvadze, M. Karchava, N. Babridze, **T.Tsertsvadze**, N. Dvali, L. Dzigua, N. Chxartishvili. *Retrovirology* 2012, 9 (Suppl 1):P90
2. IL28B favorable genotype and ultrarapid viral response as the earliest treatment predictors of a sustained viral response in a Georgian cohort infected with the hepatitis C genotype 1. Karchava M, Sharvadze L, Chkhartishvili N, Nelson K, Gochitashvili N, Gatsrelia L, Dvali N, Dolmazashvili E, Dzigua L, Badridze N, Zhamutashvili M, **Tsertsvadze T.** *Eur J Gastroenterol Hepatol.* 2012 Jul;24(7):817-23.
3. Characterization of HIV-1 subtypes and drug resistance mutations among individuals infected with HIV in Georgia. Dvali N, Parker M, Chkhartishvili N, Sharvadze L, Gochitashvili N, Abutidze A, Karchava M, Dehovitz JA, **Tsertsvadze T.** *J Med Virol.* 2012 Jul;84(7):1002-8.

2012 წელს სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე გაგზავნილი თეზისები/აბსტრაქტები

(ჯერჯერობით განხილვის პროცესშია)

1. Incidence of tuberculosis after initiation of antiretroviral therapy in Georgia; Risk factors of mortality among HIV-infected patients. A. Abutidze, T. Tsertsvadze, R. Kempker, N. Chkhartishvili, L. Sharvadze, N. Garuchava, M. Maggee, C. del Rio. *International Meeting on Emerging Diseases and Surveillance. Vienna, Austria. February 13-15, 2013.*
2. Prevalence of Hepatitis C and its subtypes among HIV positives in Georgia. N. Badridze et al. *International Meeting on Emerging Diseases and Surveillance. Vienna, Austria. February 13-15, 2013.*
3. IL28B C/C and URVR as earliest treatment predictors of SVR among Georgian cohort infected with difficult to treat genotype 1. Lali Sharvadze, Marine Karchava, Nikoloz Chkhartishvili, Lana Gatsereia, Natia Dvali, Ekaterine Dolmazashvili, Lela Dzigua, Maia Zhamutashvili, Tengiz Tsertsvadze. *Annual Congress of the Asia-Pacific Association for the study of Liver. Singapore, 7-10 March, 2013.*
4. Long-term Adherence to Antiretroviral Therapy (ART) in the Republic of Georgia. Nikoloz Chkhartishvili, Lali Sharvadze, Otar Chokoshvili, Pati Gabunia, Tengiz Tsertsvadze. 20th Conference on retroviruses and Opportunistic Infections. March 3-6, 2013. Atlanta, USA.

გაიდლაინები:

პროფ. თ. ცერცვაძის და ასოცირებული პროფესორის ლ. შარვაძის ხელმძღვანელობით 2012 წელს შეიქმნა შემდეგი სახელმძღვანელო რეკომენდაციები/გაიდლაინები:

- HCV ინფექციის მართვა აივ ინფექცია/შიდსით ავადმყოფებში. ეროვნული სახელმძღვანელო/რეკომენდაცია. თბილისი. 2012 წ.
- აივ ინფექცია/შიდსის მკურნალობა და მოვლა. ეროვნული სახელმძღვანელო/რეკომენდაცია. თბილისი. 2012 წ.
- აივ ინფექციაზე გამოკვლევის ჩვენებები. თბილისი. 2012 წ.
- აივ ინფექცია/შიდსი. სახელმძღვანელო/წიგნი. თბილისი. 2012 წ.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

1. ტრენინგ-სემინარი „აივ ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის აქსელერაცია 2012–2015 წწ. აივ/შიდსზე ევროპის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ქ. თბილისი. 20 იანვარი, 2012წ. ტრენინგი ჩატარდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიურის მხარდაჭერით.
2. აივ ინფექცია/შიდსის კლინიკური მენეჯმენტი. ტრენინგ-ვორქშოფი. აპრილი, 2012 წ. ვორქშოფი ჩატარდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიურის მხარდაჭერით. მოწვეული პროფესორი: ჯენს ლუნდგრენი. კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორი. კოპენჰაგენის აივ ინფექცია/შიდსის პროგრამის კოორდინატორი.
3. Fogarty Trainee Alumni Research Workshop. საქართველო-აშშ ერთობლივი შეხვედრა. ყვარელი, საქართველო, 27-29 ივნისი, 2012 წ. კონფერენცია ჩატარდა Fogarty International Program-ის მხარდაჭერით.
4. აივ ინფექცია/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების კონფექციის მენეჯმენტი. ტრენინგ-ვორქშოფი. 28-30 ოქტომბერი, 2012 წ. ქ. თბილისი. ვორქშოფი ჩატარდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიურის მხარდაჭერით. მოწვეული

პროფესორი: ვინსენტ სორიანო. მადრიდის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი.

5. შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია. სასტუმრო ქორთიარდ მარიოტი, ქ. თბილისი. 1 დეკემბერი, 2012 წ.

* * *

ქირურგიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი, ქირურგიის დეპარტამენტი, ჭიაურელის ქ. 2, 2913129, gia.lobzhanidze@tsu.ge

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: ქირურგია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: პროფ. გია ლობჯანიძე

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური):

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა):

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები:

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

1. Georgian Experience in Palliative Care Development –From Pilot Programs to International Collaboration (World Medical Journal; vol. 58 Nr.1 February 2012 p.13-15);
2. ღვიძლის ამებური აბსცესის მკურნალობის მინიინვაზიური მეთოდების შედარებითი დახასიათება (თსსუ XLVსამეცნიერო შრომების კრებული, 2011წ. გვ. 34-37);
3. მლივი ნაწლავის რეტროგრადული ინვაგინაცია ბრაუნის შერთულსი (იშვიატი კლინიკური შემთხვევა) (თსსუ XLVსამეცნიერო შრომების კრებული, 2011წ. გვ. 34-37);57-59).

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

1. ბავშვთა უსაფრთხოება მეცნიერების გზით, სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია; 21 დეკემბერი 2012, თბილისი, საქარველო;
2. The 63rd World Medical Association General Assambly Scientific Session: “Megacity-Megahealth?” 2012; October 10-13, 2012 Bangkok, Thailand;
3. 26 June United Nations International day in Support of Victims of Torture, VIII Conference in Tbilisi “World Without Torture”, 27 of June, 2012, Tbilisi. Georgia;
4. მამაკაცის ჯანმრთელობის პრობლემები, პირველი კონფერენცია, მაისი, 2012, თბილისი, საქარველო;

5. European Forum of Medical Associations and WHO, 19-20 April, 2012 Yerevan, Armenia;
6. მრგვალი მაგიდა - სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა - სამედიცინო და იურიდიული სფეროს ექსპერტებისთვის, სამედიცინო მტკიცებულებების გამოყენება წამების წინააღმდეგ ბრძოლაში - სტამბოლის პროტოკოლის განხორციელების გამოწვევები საქართველოში, 31 მარტი, 2102, თბილისი, საქართველო;
7. The 62nd World Medical Association General Assambly Scientific Session: "Tobacco Cessation" 2011; October 12-15, 2011 Montevideo, Uruguay.
8. Israeli-Georgian Scientific conference: A new vision in Anesthesia: Inovations in Perioperative Medicine and Pain Management; September 9, 2011; Tbilisi. Georgia;

* * *

პედიატრიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): ივ ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის დეპარტამენტი; პედიატრიის ინსტიტუტი, ლუბლიანას ქ.5, 2148491

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: პედიატრია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: პროფ. რუსუდან ქარსელაძე (ხელმძღვანელი), პროფ. ლიანა ჟორჟოლიანი

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): "რანდომიზირებული, ორმაგად ბრმა, დამამშვიდებელი საშუალების მაკონტროლირებული კვლევა, რომელიც მოიცავს RV1593J LR0525 დამამშვიდებელი კრემის ზემოქმედებას ტოპიკური კორტიკოსტეროიდების მოხმარებაზე ატოპიური დერმატიტით (ად) დაავადებულ ბავშვებში, შენარჩუნების ფაზის პერიოდში"

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): ატოპიური დერმატიტი (ად) არის კანის ზოგადი, ქრონიკული ანთებითი პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ოჯახურ ან თავად პიროვნების ანამნეზთან ან ალერგიულ რინიტთან.

ად-ს გავრცელება არის დაახლოებით 15%-დან 30%-ის ფარგლებში სასკოლო ასაკის ბავშვებში ინდუსტრიულ ქვეყნებში და 2%-დან 10%-მდე მოხარდთა ასაკში. ზოგიერთი კვლევების მიხედვით, დაავადების გავრცელება გაიზარდა სამჯერ მსოფლიოს განვითარებულ ნაწილში ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე. (1) გავრცელება უფრო მაღალია განვითარებულ ქვეყნებში და ურბანულ ადგილებში მაგრამ ყველაზე მაღალია დიდი ტერიტორიის ადგილებში. (2). გენეტიკური წინასწარი განწყობა ჯერ კიდევ შეადგენს ად-ს განვითარების ყველაზე დიდ რისკ ფაქტორს. დაავადებულ პირთა დაახლოებით 60%-ში, დაავადება თავს იჩენს ცხოვრების პირველ წელს და შემთხვევათა 25%-ში ვითარდება 1-დან 5-წლამდე ასაკში ად-ს ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული მკურნალობის მეთოდი არის დამამშვიდებელი საშუალებების გამოყენება (კრემები, მალამოები, აბაზანის დანამატები). დამამშვიდებელი საშუალებები შეიძლება იქნას რეკომენდირებული ად-ს

გამწვავების მკურნალობისას, როგორც სტანდარტული კორტიკოსტეროიდებით თერაპიის დამატება, მაგრამ ძირითადად გამოიყენება როგორც შემანარჩუნებელი თერაპია დაავადების რეციდივის პრევენციისთვის.

დამარბილებლები (კრემი, დამატენიანებელი და სააბაზანე საშუალებები) ყველაზე ფართოდ გამოიყენება ატოპიური დერმატიტის (ად) მკურნალობისას. დამარბილებლების გამოყენება რეკომენდებულია ად-ის გამწვავების მკურნალობისას, როგორც დამატებითი ლკს საშუალება, მაგრამ ძირითადად დაავადების რეციდივის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დამარბილებლები ფართოდ გამოიყენება ად-ს მკურნალობაში, მათი სარგებლიანობა ამ მიმართულებით ძალიან მცირე, დაუზუსტებელი და არაკონტროლირებული კვლევებით შეფასდა. მას შემდეგ, რაც ზოგიერთი კლინიკური კვლევის მონაცემებით მნიშვნელობა მიენიჭა დამარბილებლების პოტენციურ როლს, როგორც კორტიკოსტეროიდების დამზოგველ საშუალებას, საჭირო გახდა კვლევა მიმართულიყო RV1593JLR0525 დამარბილებელი კრემის სარგებლიანობის შესაფასებლად ლკს-ის მოხმარების რაოდენობის შემცირების კუთხით (სტეროიდების დაზოგვის ეფექტი).

კვლევის მიზანია, შეაფასოს RV1593J L R0525 დამარბილებელი კრემის ეფექტურობა და უსაფრთხოება RV1593J JT0438 დამარბილებელთან შედარებით, ექვსი თვიდან ექვს წლამდე ატოპიურ დერმატიტით დაავადებული ბავშვების მკურნალობისას.

აღნიშნული კვლევა წარიმართა როგორც საერთაშორისო, მრავალცენტრული, რანდომიზირებული, ორმაგად ბრმა, დამამშვიდებელი საშუალების მაკონტროლირებული კვლევა, პარალელურ ჯგუფებში, სუბიექტებზე, რომლებსაც აწუხებთ საშუალო სიმძიმის ატოპიური დერმატიტი.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: მიმდინარეობს დასრულებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

1. Распространенность аллергических заболеваний в детской популяции-Аллергология и иммунология, т.13, №3, 2012, 215-221.

2. კანის ალერგიული ცვლილებები—ადემა და რეალობა. VII Georgian congress of allergology and immunology; V International congress "Health and Drugs" (მოხსენება). 5–8 ოქტომბერი, ბათუმი, 2012

3. კლინიკურ–დერმატოლოგიური დიაგნოზი: მორფოლოგიური რეაქციის ტიპისა და განაწილების მიხედვით. სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციის მასალები (ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა–V). თბილისი, 2012, 120-122.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

Investigator Meetings: 09.07.2012

1. QUESTIONS & ANSWERS

Study RV2552 F2011 449

Investigator Meetings: 03.10.2012

2. IGA Training

Study RV2552 F2011 449

კვლევის დამფინანსებელი ორგანიზაცია/ფონდი (არსებობის შემთხვევაში):

Pierre Fabre (პიერ ფაბრე– საფრანგეთი)

კვლევითი ცენტრები: აღნიშნული კვლევა ხორციელდება ევროპის ქვეყნების – საფრანგეთი, გერმანია, იტალია – კვლევით ცენტრში.

სამეცნიერო მიმართულება: პულმონოლოგია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: ხელმძღვანელი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი ქ.ბარაბადე.

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): ბავშვთა ხშირი ავადობის რისკ-ფაქტორები და კორექციის გზები

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): თანამედროვე ეტაპზე მორეციდივე რესპირაციულ დაავადებათა რისკ-ფაქტორების შესწავლას ბავშვთა ასაკში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ცნობილია, რომ რისკის ფაქტორებს და დაავადების აღმოცენების მიზეზებს შორის არის მრავალი საერთო და ამავე დროს არის არსებითი განსხვავება. მიზეზებს აქვს აბსოლიტური ხასიათი და მას აუცილებლად მივყავართ დაავადებამდე; ხოლო რისკ-ფაქტორებს აქვს შესაძლებლობის ხასიათი, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს ან არ მიგვიყვანოს დაავადებამდე.

კვლევის მიზანია ბავშვთა ხშირი ავადობის რისკ-ფაქტორები და კორექციის გზები. მიზნის მისაღწევას დაისახა შემდეგი ამოცანები:

1. დაადგინეს ს.ს.ა.დ. ბავშვთა ხშირი ავადობის მიზეზი და ავადობის მაპროვოცირებელი კონკრეტული ფაქტორები.

2. სასუნთქი სისტემის არასპეციფიკური დაავადებებით ხშირი ავადობის პროგნოზული ფაქტორების დადგენა; დადებითი და უარყოფითი პროგნოზული ღირებულებების შეფასება.

კვლევაში ჩართული იქნება სტუდენტთა ჯგუფი, რომლებიც შეაფასებენ და შეარჩევენ შემთხვევა-კონტროლის კვლევის საფუძველზე 1-6 წლამდე ასაკის ბავშვთა ს.ს.ა.დ-ით ხშირი ავადობის რისკ-ფაქტორებს. განსაზღვრავენ ყველა იმ მნიშვნელოვან ზემოქმედებას, რომელიც ასოცირდება სპეციფიკურ გამოსავალთან. შემდგომ შეასრულებენ კოჰორტულ კვლევას, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს გამოსავლის განვითარება დროში მოცემულ პოპულაციაში და განისაზღვროს დამზიანებელი ფაქტორის ზემოქმედების რისკი.

შეირჩევა 2 ჯგუფი

- 1-დან 6 წლამდე ბავშვთა ჯგუფი კვლევისათვის საინტერესო დაავადებით და გამოსავლით.
- საკონტროლო ჯგუფი, კომპლექტდება იმავე ასაკის ჯანმრთელი ბავშვებით, რომლებსაც არ ჩატარებიათ ექსპერიმენტული ზემოქმედება.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: მიმდინარეობს მასალის დამუშავება

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

1. Adamia, Chkaidze, Jgushia, Makhatadze, Barabadze at all. EPIDEMIOLOGICAL STUDIES OF FUNCTIONAL DYSPEPSIAS ASSOCIATED WITH NUTRION DISONDERS AMONG GEORGIAN CHILDREN. 1ST INTERNATIONAL COFERECE OF NUTRION AND GROW, HELD IN PARIS, FRANCE, **MARCH 1-3 2012**
2. ნ.ადამია, ნ.ქათამაძე, დ.ხაჭაპურიძე, მ.ხერხეულიძე, ქ.ბარაბაძე და სხვ. ალერგიული დაავადებების გავრცელება ბავშვთა ასაკის პოპულაციაში; საქართველოს რესპირაციული ჟურნალი.
3. Adamia, Chkaidze, Ubiria, Barabadze at all. SPREADING OF BRONCHIAL ASTHMA AND RISK FACTORS IN CHILDRENS POULATION OF TBILISI AND BATUMI”; 3.EAACI CONGRESS **2012** GENEVA.
4. . Adamia, Chkaidze, Barabadze at all. Epidemiology of Allergic Diseases in Children Population; Georgia Medical News; In press.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

1. Diagnostic Value of No, INF_Y ,Neopterin and Lactatedehydrogenaze(LTD) in Patogenezis of Reccurent Respiratory Tract Disease in children; WORLD ASTMA” saerTaSoriso kongresi.
2. Yyelistkivili-diagnostika da marTva; ,, Allergology And Immunology „4 International Congress Of Health and Drug

* * *

კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): თბილისი, ჭიაურელის ქ. #2 ტელ: 2540823 ფაქსი: 2520976 ელ-ფოსტა: morphology@morphology.org.ge

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: კლინიკური ანატომია და

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი:

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური):

1. გულ-ფილტვის ხელოვნური შემოვლის ახალი ტუმბო
 - ა) აპეპატური ფაზის უზრუნველყოფა ვენურ-ვენური ბაიპასით ძაღლის ექსპერიმენტულ მოდელში
 - ბ) ღვიძლის აუტოტრანსპლანტაცია ძაღლებში ვენურ-ვენური შემოვლის ახალი სქემით, როგორც ორგანოს დენერვაციისა და დელიმფატიზაციის მოდელი
2. ალტერაციული, კომპენსაციური და რეგენერაციული პროცესების უჯრედული მექანიზმები

ნაღვლის შეგუბების პირობებში

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა):

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: წარმოდგენილი თემატიკით გათვალისწინებული ექსპერიმენტები დასრულდა 2011 წელს. 2012 წელს – მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდა 4 სტატია; ერთი დაიბეჭდა „Acta Biologica Hungarica“-ში (IF – 0,593), ერთი “Acta Morphologica and Antropologica” -ში ხოლო ორი გაიგზავნა პუბლიკაციისათვის ჟურნალ „Transplantation Proceedings” -ში (IF – 1,005). (ორივე მიღებულია).

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

Regarding The “Newductules” Appeared In The Liver Of Rats In Several Hours After Common Bile Duct Ligation (in press); Elza Azmaiparashvili, Ekaterine Berishvili, Mikheil Jangavadze, Dimitri Kordzaia. ACTA MORPHOLOGICA ET ANTHROPOLOGICA, 2012, #3

Ductular reaction at the early terms of common bile duct ligation in the rats. Azmaiparashvili, E., Berishvili, E., Kakabadze, Z., Pilishvili, O., Mikautadze, E., Solomonias, R., ... & Kordzaia, D. (2012). *Acta Biologica Hungarica*, 63(3), 321-332.

Traditional risk factors for “Helicobacter pylori” infection not found among patients undergoing diagnostic upper endoscopy—Republic of Georgia, 2007–2008. Tarkhashvili, N., Chakvetadze, N., Mebonia, N., Chubinidze, M., Bakanidze, L., Shengelidze, V., ... & Sobel, J. [http://www.ijidonline.com/article/S1201-9712\(12\)00136-1/abstract](http://www.ijidonline.com/article/S1201-9712(12)00136-1/abstract) *International Journal of Infectious Diseases*, 2012, Volume 16, Issue 9 , Pages e697-e702

Human Papillomavirus Type 16 Genetic Variants: Phylogeny and Classification Based on E6 and LCR. Cornet, I., Gheit, T., Franceschi, S., Vignat, J., Burk, R. D., Sylla, B. S., ... & Clifford, G. M. (2012). *Journal of virology*, 86(12), 6855-6861.

Georgian Experience in Palliative Care Development – From Pilot Programs to International Collaboration.

Dimitri Kordzaia Tamar Rukhadze, Gia Lobjanidze, Zaza Khachiperadze., 2012/2

World medical journal, Volume 58, Issue 1, Pages 13-15.

გამოსაცემად მზადდება მონოგრაფია – „ბიორეგულაციური მედიცინა გერიატრიაში“ (შემდგენლები – ავტორთა ჯგუფი)

2012 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილ იქნა 3 პროექტი.

* * *

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): მედიცინის ფაკულტეტის დეკანატი, თბილისი, ჭიათურის ქ. 2, ტელ: 2 91 31 25; 2 Email: medicine@tsu.ge; (ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობა ტელ: 254 08 23, ფაქსი: 252 09 76)

მეცნიერების დარგი: მედიკო-ბიოლოგიური მეცნიერებები,

სამეცნიერო მიმართულება: საზოგადოებრივი ჯანდაცვა.

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: ნატა ყაზახაშვილი (სამეცნიერო ხელ-ლი) მანანა ცინცაძე (კვლევაში მონაწილე)

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): “დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, საქართველო 2000-2011 წლები”

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): საქართველოში დასაქმებისა და სიღარიბის ჯერ კიდევ არსებული პრობლემები სამედიცინო მომსახურებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის ძირითად მიზეზებს წარმოადგენს . აღნიშნული განაპირობებს სამედიცინო რესურსების (ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვის სპეციალისტები) არათანაბარ განაწილებას, რაც თავის მხრივ იწვევს უთანასწორობას ჯანდაცვაში. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებაზე ყველაზე მგრძობიარედ ქალთა და ბავშვთა მოსახლეობა რეაგირებს, როგორც საზოგადოების ყველაზე სათუთი და ფაქიზი ფენა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ ძლიერი დემოგრაფიული ტრანსფორმაცია განიცადა. ამ დროიდან მოყოლებული მოსახლეობის რაოდენობა განუწყვეტლივ მცირდება. 1990-დან 2000 წლამდე მოსახლეობის საერთო რაოდენობა 4.4 მილიონამდე შემცირდა. მკვეთრი ცვლილება განიცადა მოსახლეობის ასაკობრივმა სტრუქტურამ, კერძოდ, ბავშვების პროცენტული წილი შემცირდა, ხოლო 65 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობის წილი გაიზარდა. სამოქალაქო ომისა და ეთნოკონფლიქტების შედეგად ქვეყანაში გაჩნდა ჯანმრთელობის თვალსაზრისით მაღალი რისკის კონტინგენტი - იძულებით გადაადგილებული პირები.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების სიმრავლის მიუხედავად, სიღარიბის შემცირებაზე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ეკონომიკური რეფორმების დადებითი ზეგავლენის დასადასტურებლად ძალზე მცირე მტკიცებულებები არსებობს. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სხვა წყაროების მონაცემებით 2000-2004 წლებში სიღარიბის ზღვარი მერყეობდა 51.0%-დან და 54.5%-მდე შორის. 2006 წელს დეპარტამენტმა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოახდინა ოფიციალური სიღარიბის ზღვარის გამოთვლის მეთოდოლოგიის გადახედვა. ოფიციალური მონაცემებით, სიღარიბის მაჩვენებელი საშუალოდ 60%-დან, 2004 წელს 24,6%-მდე, ხოლო 2007 წელს 21,3%-მდე შემცირდა. საბოლოოდ, სიღარიბის მაჩვენებლების მეთოდოლოგიის გაანგარიშების შეცვლის გამო ოფიციალური

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შედარებას ექვემდებარება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არსებული მონაცემები, რომელიც ასე გამოიყურება: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი (%) 2007 - 6.4%; 2008 - 8.4%; 2009 - 9.9%; 2010 - 9.7%; 2011 - 9.2%; (წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo). წარმოდგენილი მონაცემების მიხედვითაც ცხადად ჩანს, რომ თითქმის 3%-ით გაიზარდა ღარიბთა ხვედრითი წილი მოსახლეობაში. საყურადღებოა ჯინის ინდექსის სიდიდე საქართველოში. როგორც ცნობილია ჯინის ინდექსი გამოიყენება, როგორც პოპულაციის შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის საზომი. ქვეყნებს შორის ამ ინდექსის მიხედვით ყველაზე ნაკლები უთანაბრობა შვედეთშია (0.23), ხოლო ყველაზე მეტი - ნამიბიაში (0.7). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანა არ შეფასებულა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით ჯინის კოეფიციენტი მოცემულია ცხრილში, რომლის მიხედვით ჩანს, რომ მოსახლეობაში გარკვეულწილად შემცირდა უთანაბრობა და ცხოვრების დონე გაუმჯობესდა, თუმცა სხვა მონაცემები (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ზოგიერთი მაჩვენებელი) საპირისპიროზე მეტყველებს.

(წყარო: http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=187&lang=geo)

ჯინის კოეფიციენტები						
	მთლიანი შემოსავლები ს მიხედვით ¹	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით ²	მთლიანი სახსრების მიხედვით ³	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით ⁴	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით ⁵	მთლიანი ხარჯების მიხედვით ⁶
2006	0.45	0.53	0.47	0.40	0.47	0.42
2007	0.46	0.53	0.47	0.41	0.48	0.43
2008	0.45	0.53	0.47	0.41	0.49	0.44
2009	0.46	0.53	0.48	0.42	0.49	0.44
2010	0.46	0.52	0.48	0.43	0.50	0.46
2011	0.46	0.52	0.48	0.42	0.50	0.46

საქართველოში არსებულმა ცხოვრების დონემ და უმწვავესმა დემოგრაფიულმა მდგომარეობამ, რაც მოსახლეობის შეკვეცილ კვლავწარმოებაში გამოიხატა, ბიძგი მისცა დეპოპულაციის დაწყებას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი პარამეტრების გაუმჯობესების ტენდენციები ვლინდება, აღნიშნული მაჩვენებლები მაინც მნიშვნელოვნად აღემატება განვითარებული ქვეყნების იგივე მაჩვენებლებს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის ცნობილია, რომ მოსახლეობის ავადობის ტვირთის განმსაზღვრელი რისკების სტრუქტურის ფორმირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემდგომში პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და ჯანდაცვის რესურსების სწორი ალოკაციისთვის. მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანბანური ქეშმარიტებაა, რომ საზოგადოების ფართო ფენებისთვის შემუშავებული თითოეული გზავნილი მყარ მეცნიერულ მტკიცებულებებს უნდა ეფუძნებოდეს. მაღალავტორიტეტული ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და ლიტერატურული წყაროების მიხედვით ჩანს, რომ სავსებით შესაძლებელია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორების გრადაცია იმგვარად, რომ ნათლად გამოიკვეთოს ფაქტორთა ჯგუფი, ანუ დეტერმინანტები, რომელთაც განსაკუთრებით ნეგატიური ზემოქმედება აქვთ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, მათ შორის ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. პრობლემის წარმოჩენა მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ქალთა და

ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების პრიორიტეტების სწორედ განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ჩვენი მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა აღმოგვეჩინა და დაგვედასტურებინა ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოქმედი ისეთი რისკ-ფაქტორის არსებობა, რომელთაც განსაკუთრებით იჩინეს თავი უკანასკნელი 10 წლის მანძილზე.

კვლევის მიზანია საქართველოში ახალი ათასწლეულის პირველი დეკადის განმავლობაში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების ტენდენციების და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე მისი ზეგავლენის შესწავლა. დაიგეგმა: 2000-2011წ. საქართველოში სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების – STI, ქალთა გენიტალური ორგანოების დაავადებების ახალი შემთხვევების, სპონტანური აბორტების, საშვილოსნოს გარე ორსულობის გამო ჩატარებული ოპერაციების რაოდენობის დადგენა; აღრიცხვაზე აყვანილ ორსულთა შორის სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე რუტინულად გამოკვლეულთა რაოდენობის განსაზღვრა, ასევე ახალშობილთა ავადობისა და მოკვდაობის ამსახველი ინფორმაციის ანალიზი და სხვ. მიღებული მონაცემების შედარება როგორც სხვა ქვეყნების იგივე მაჩვენებლებთან, ასევე საქართველოს წინა წლების მონაცემებთან და ტენდენციების განსაზღვრა. კვლევის მიზანია უპასუხოს კითხვას რა ზეგავლენას ახდენს სგგდ ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. როგორ ტარდება ორსულებში სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების კვლევა, მატულობს თუ არა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების ახალი შემთხვევების რაოდენობა. მატულობს თუ არა პერინატალური დანაკარგები. ასევე გავცეთ პასუხი კითხვას: როგორ შეიცვალა ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემა და სტატისტიკური ანგარიშების გამოქვეყნების მდგომარეობა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე; უმჯობესდება თუ არა მისი ხარისხი დროთა განმავლობაში. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის, შეკრების, სისტემატიზაციის, აღწერის, ანალიზის და შედარების მეთოდები. აგრეთვე სამეცნიერო კვლევის თემის ირგვლივ არსებული გამოქვეყნებული ინფორმაციის და ინტერნეტ-რესურსების კვლევის კაბინეტური მეთოდი. 2000-2011 პერიოდისთვის შედგენილია ცხრილები და გრაფიკები, წლების მიხედვით: სგგდ ახალი შემთხვევების რაოდენობა; ქალთა გენიტალური ორგანოების დაავადებების ახალი შემთხვევების რაოდენობა; სპონტანური აბორტების რაოდენობა, საშვილოსნოს გარეშე ორსულობის გამო ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა, შობადობა, პათოლოგიური მშობიარობის რაოდენობა, ნაადრევი მშობიარობა, სხეულის მცირე მასით დაბადებული ახალშობილების რაოდენობა, ახალშობილთა ინფექციების რაოდენობა და სხვ. და სხვ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ზოგიერთი მონაცემები გაუმჯობესდა, მაგრამ სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით შეინიშნება უარყოფითი ტენდენციები: იზრდება STI ახალი შემთხვევების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინის საფუძველი ინვაზიური ჩარევების შემცირებისკენაა მიმართული, მატულობს საკეისრო კვეთის რაოდენობა, მატულობს პათოლოგიური მშობიარობის რაოდენობა, არ კლებულობს ნაადრევი მშობიარობის რიცხვი. კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება

ვიფიქროთ, რომ STI –ის მატება, სხვა დეტერმინანტებთან ერთად მაღალ პერინატალურ დანაკარგებს განაპირობებს. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მაჩვენებლების ანალიზით გამოვლინდა, რომ შემცირდა განსხვავებები ოფიციალურად დეკლარირებულ მაჩვენებლებსა და სპეციალურად ჩატარებული კვლევების შედეგებით მიღებულ მონაცემებს შორის, შედარებით გაუმჯობესდა რუტინული სტატისტიკური მონაცემებისადმი ხელმისაწვდომობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები:

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

წიგნი - “სამედიცინო მომსახურების ხარისხის განვითარების პერსპექტივები საქართველოში” ნატო ფიცხელაური, ნატა ყაზახაშვილი. ISBN 978-9941-10-645-3. გვერდების რაოდენობა - 143; გამომცემლობა “მერიდიანი”. 2012 წელი.

1. 2012 - Children’s Health in Ecologically Polluted Regions: Georgia. Nata Kazakhashvili, Nino Chikhladze, Ketevan Dadiani, Nato Pitskhelauri. Geneva Health Forum. A critical shift to chronic conditions. fourth edition. April 18-20, 2012 International Conference Centre Geneva, Switzerland. <http://www.ghf12.org/?p=3044>
2. 2012 – “Maternal and Child Health, Georgia 2000-2009”; Nata Kazakhashvili, Manana Tsintsadze ; Tempus 511303 project conference "Public Health and Social Services: Education and Practice", Conference book, page 41; Tbilisi , Georgia June 27, 2012 http://www.tempus.ge/index.php?option=com_content&view=article&id=69&Itemid=79&lang=en
3. 2012 – “Potable Water Quality Screening and Evaluation for Tbilisi City”. N. Dakhundaridze, K. Dadiani, N. Kazakhashvili, N. Chikhladze, L. Loria. Tempus 511303 project conference "Public Health and Social Services: Education and Practice", Conference book, page 24; June 27, 2012. Tbilisi, Georgia http://www.tempus.ge/index.php?option=com_content&view=article&id=69&Itemid=79&lang=en
4. 2012 – “maternal and Child Health, Georgia 2000-2011”. Nata Kazakhashvili, MD PHD; Manana Tsintsadze, PHD; “Healthy Family, Healthy Pregnant Woman, Healthy Child” - I-st International Conference of “Women’s Rehabilitation Association”. Conference book page 46. September 29, Tbilisi, Georgia. <http://www.nplg.gov.ge/dspace>
5. 2012 – “Postabortion Care” T. Shelia, N.Kazakhashvili. MD PHD. “Healthy Family, Healthy Pregnant Woman, Healthy Child” - I-st International Conference of “Women’s Rehabilitation Association”. Conference book page 43. September 29, Tbilisi, Georgia. <http://www.nplg.gov.ge/dspace>

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

2012 წლის 25-29 ივნისს TEMPUS – ის პროექტის “სამაგისტრო პროგრამები საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაში” 511303-TEMPUS-1-2010-1-UK-TEMPUS-JPCR ფარგლებში ჩატარდა პროექტში მონაწილე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მომზადების სემინარების სერია “TEMPUS Week in Georgia”. სასწავლო შეხვედრები და სემინარები გაიმართა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს უნივერსიტეტში. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2012 წლის 27 ივნისს თბილისში, სასტუმრო “ვერა-პალასში” ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია “საზოგადოებრივი ჯანდაცვა: განათლება და პრაქტიკა” (კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფ. ო.ვასაძე, თანათავმჯდომარე თსუ ასოცირებული პროფ.ნატა ყაზახაშვილი). კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ სტუმრები სომხეთიდან, მოლდოვადან, რუმინეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და შვედეთიდან.

http://www.tempus.ge/index.php?option=com_content&view=article&id=69&Itemid=79&lang=en

<http://conference.ug.edu.ge/conference.php?id=1>

კვლევის დამფინანსებელი ორგანიზაცია/ფონდი (არსებობის შემთხვევაში): საერთაშორისო სემინარებისა და კონფერენციის დაფინანსება განხორციელდა პროექტის 511303-TEMPUS-1-2010-1-UK-TEMPUS-JPCR საშუალებით.

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: პროექტის მენეჯმენტის ჯგუფი: ალექსანდრე ცისკარიძე და ნინო ჩიხლაძე

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): „დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია აღმოსავლეთ ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): 2005 წლიდან საქართველო მიუერთდა ბოლონის პროცესს და მას დაეკისრა მოვალეობა გაერთიანდეს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში. თავის მხრივ, სამედიცინო განათლებაში თანამედროვე ტრენდებს წარმოადგენს კლინიკური და თეორიული სწავლების ინტეგრაცია სწავლების ადრეულ ეტაპზე და კურიკულუმში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება. სწორედ ამ მიმართულებით არის გათვალისწინებული პროექტში თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის და თსმუ-ს კურიკულუმებში სათანადო ცვლილებების იმპლემენტაცია და სათანადო აკადემიური პერსონალის მომზადება და პროფესიული დახელოვნება.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: პროექტის ფარგლებში განხორციელდა ახალი სასწავლო კურსის „კლინიკური აზროვნების საფუძვლები“ შემუშავების და განხორციელების ადგილზე შესწავლა კურსის ავტორთან ერთად. უტრეხტის უნივერსიტეტის (ჰოლანდია) პროფესორ ოლე ტენ კატესთან სტაჟირება გაიარეს თსუ ასოც. პროფესორმა მამუკა ჩხაიძემ, და ორმა დოქტორანტმა გიორგი ლოჟანიძემ და ნატო ფიცხელაურმა. ამჟამად, თსუ მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმისათვის ახალი სასწავლო კურსი უკვე შემუშავებულია. პროექტის ფარგლებში განხორციელდა აგრეთვე სასწავლო კურსის „კვლევის უნარ-ჩვევები“ შესწავლა გრანადის უნივერსიტეტში (ესპანეთი), სტაჟირებაში მონაწილეობა მიიღეს: პროფესორმა დ. კორძაიამ, ასოც. პროფესორმა ა. ცისკარიძე, ასოც. პროფესორმა ნინო ჩიხლაძე და დოქტორანტმა ე.პაატაშვილმა. მოცემულ ეტაპზე ახალი სილაბუსის დრაფტი შემუშავებულია, მიმდინარეობს კურსის კურიკულუმში იმპლემენტაციის პროცესი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა აკადემიური პერსონალის გადამზადების პროცესის შესწავლა და პედაგოგთა გადამზადების ცენტრის ფუნქციონირების თავისებურებები. სტაჟირებაში მონაწილეობა მიიღეს: ასოც. პროფესორმა ა. ცისკარიძე, ასოც. პროფესორმა ნინო ჩიხლაძე, მაკა ჯორბენაძემ და ფატი მოწინიძემ.

პირველი წლის მუშაობის შედეგები ასოც. პროფესორი ნინო ჩიხლაძის მიერ წარდგენილი იქნა უკრაინაში შუალედურ კონფერენციაზე.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები:

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

- 2012- Workshop: „Curriculum Development and Clinical Reasoning Skills” Utrecht, Netherlands;
- Workshop: „Curriculum Development and Research skills” Granada, Spain;
- 2012-Workshop: „Faculty Development Programs” Leeds, UK;
- 2012-Interim Report on Tempus Project. Kiev, Ukraine;

* * *

ნევროლოგიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): მედიცინის ფაკულტეტი, თსუ, ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტი, თევდორე მღვდლის 13, თბილისი 0112, ტელ: 2347627, ელ-ფოსტა: rshak@science.org.ge

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: ინსულტი, გაფანტული სკლეროზი, ნეირონკოლოგია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი:

1. ხელმძღვანელი: ალექსანდრე ცისკარიძე პერსონალი: რომან შაქარიშვილი, თამარ ვაშაძე, ნელი საპოჟნიკოვა, ნინო ასათიანი, თამარ ქართველიშვილი, ლალი ასანიშვილი, დარეჯან გუგუცაძე,
2. ხელმძღვანელი: რომან შაქარიშვილი პერსონალი: მარინა კიზირია, თინათინ ცინცაძე
3. ხელმძღვანელი: პროფ. რომან შაქარიშვილი. პერსონალი: დავით გიგინეიშვილი, ალექსანდრე ცისკარიძე
4. ხელმძღვანელი-Robert Rivard პერსონალი: ნანა კვიციანი, რომან შაქარიშვილი, თამარ ახვლედიანი, ლია ყანდაშვილი, თინათინ ცინცაძე,
5. ხელმძღვანელი- ბრენტ ჰაუსი.პერსონალი: ნანა კვიციანი, რომან შაქარიშვილი, თამარ ახვლედიანი, ლია ყანდაშვილი, თინათინ ცინცაძე,
6. ხელმძღვანელი - რომან შაქარიშვილი; პერსონალი: ნანა კვიციანი, ნინო შენგელია.
7. ხელმძღვანელი- რომან შაქარიშვილი; პერსონალი: ნანა კვიციანი, მ. კიზირია.
8. ხელმძღვანელი - რომან შაქარიშვილი; პერსონალი: ნანა კვიციანი, მ. კიზირია.

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური):

1.ინსულტი:

ანტიოქსიდანტური სისტემის სტატუსი და სისხლის მატრიქსული მეტალოპროტეინაზები, როგორც ბიომარკერები მწვავე იშემიური ინსულტის შემთხვევაში ”

2. გაფანტული სკლეროზი:

1. Allegro – Assessment of oral laquinimod in preventing progression of Multiple Sclerosis
2. Bravo – Benefit-Risk assesment of avonex and laquinimod
3. Gala – Glatiramer Acetate low-frequency administration
4. ADVANCE – A phase III Clinical Trial of Pegylated Interferon beta-1a in RMS
5. CP-NU100-01.00 – A phaze 3 multicenter double-blind randomized placebo-controlled parallel-group study to evaluate the safety and efficacy of Nu100 in patinets with relapsing forms of MS
6. **GATE** (Multicenter randomized double-blind, placebo-controlled parallel-group, 9 month, equivalence trial comparing the efficacy and tolerability of GTR (Synthon BV) to Copaxone (Teva) in subjects with RR MS followed by an open-label 15 month GTR treatment part evaluating the long-term GTR treatment effects.
7. **GLOW** (A multinational multicenter randomized parallel group double blind placebo controlled study performed in subjects with RRMS to assess the efficacy, safety and tolerability of Glatiramer Acetate (GA) 20mg/0.5ml new formulation administered daily by subcutaneous (SC) injection.

3. პოსტჰერპესული ნევრალგია

1. A double blind placebo-controlled randomized trial to prove the therapeutic concept and to determine the safety, tolerability and pharmacokinetic profile of EMA401 (angiotensin II type 2 receptor antagonist) administered orally in patients with postherpetic neuralgia.

- 4 თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია საქართველოში: პროსპექტული პოპულაციური კვლევა
- 5 მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის გამომწვევი მიზეზები საქართველოში
- 6 საქართველოში ინფექციური ეტიოლოგიის მწვავე და ქვემწვავე დუნე დამბლის ეპიდემიოლოგია და ეტიოლოგია
- 7 ორმაგი ბრმა, პლაცებო-კონტროლირებადი, რანდომიზებული კვლევა, რომელიც ტარდება პერორალურად მიღებული EMA401-ის (ანგიოტენზინ II ტიპის რეცეპტორების ანტაგონისტი) სამკურნალო კონცეფციის დამტკიცების, უსაფრთხოების, ამტანობისა და ფარმაკოკინეტიკური პროფილის განსაზღვრისათვის პაციენტებში პოსტჰერპესული ნევრალგიით.
- 8 multinacionaluri, multirandomizebuli, paraleluri jgufis, placebo kontrolorebadi kvleva RRMS- ის მქონე სუბიექტების 20მგ/0.5მლ გლუცირამატის აცეტატის ახალი ფორმულაციის ეფექტურობა, უსაფრთხოების და ამტანობის შესაკავებლად ყოველდღიურ კანქვეშა ინექციის სახით (კანქვეშ) გამოყენებისას.
- 9 მე-2/3 ფაზის მრავალცენტრული, რანდომიზებული, ორმხრივად ბრმა, პლაცებო კონტროლირებადი (ნაწილი A) და ორმხრივად ბრმა, ორმხრივი იმიტაციის, აქტიური კონტროლირებადი (ნაწილი BB), პარალელურ ჯგუფებში მიმდინარე კვლევა გაფანტული სკლეროზის რეციდივული ფორმით დაავადებული პაციენტის პერორალური პრეპარატებით RPC1063 მკურნალობის ეფექტიანობისა და უსაფრთხოების დასადგენად

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა):

1. ინსულტი – ანტიოქსიდანტური სისტემის სტატუსი და სისხლის მატრიქსული

მეტალოპროტეინაზები, როგორც ბიომარკერები მწვავე იშემიური ინსულტის შემთხვევაში –” ინსულტი – ნევროლოგიურ დაავადებებს შორის ლიდერია სისშირით და სიცოცხლისათვის საფრთხით (ყოველწლიურად მსოფლიოში ინსულტით იღუპება 5,54 მილიონი ადამიანი). პრობლემას წარმოადგენს ავთვისებიანი იშემიური ინსულტის პრედიქტორების გამოცნობა, რათა შეირჩეს პაციენტები ადრეული კრანიექტომიისათვის კლინიკური და რადიოლოგიური ნიშნების გამოვლენამდე. ადრეული პემიკრანიექტომია (24 საათში), შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სიცოცხლის შემანარჩუნებელი პროცედურა. ამ დაავადების პრედიქტორებს მიეკუთვნება კლინიკური პატერნები, ბიოქიმიური პარამეტრები და სისხლძარღვოვანი და დემოგრაფიული რისკ-ფაქტორები.

შესაძლო პროგნოსტული ბიოქიმიურ პარამეტრების მოკვლევა მწვავე იშემიური ინსულტის ადრეულ სტადიაზე წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანას. დიდი ზომის იშემიური ინსულტის და ინსულტის შემდგომი ცუდი გამოსავლის ადრეულ სეროლოგიურ მარკერებს შორის, MMP (მატრიქსული მეტალოპროტეინაზები) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მისი როლი დაკავშირებულია იშემიურ კასკადში მონაწილეობასთან. პათოლოგიურ პირობებში წონასწორობა გადახრილია MMP აქტივობის გაზრდის მიმართულებით, რაც თავის მხრივ იწვევს ქსოვილისა და ექსტრაცელულარული მატრიქსის დეგრადაციას.

MMP-ს ექსპრესიის მარეგულირებელი მექანიზმი დღეისათვის ბოლომდე ცნობილი არ არის, მაგრამ მთელი რიგი გამოკვლევების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ROS (უანგბადის აქტიური მეტაბოლიტები) შეიძლება არეგულირებდნენ MMP-ს. რადგან ოქსიდაციური სტრესი (ჰიპოქსია) და ანთება თან ახლავს დაავადების განვითარებას, ამიტომ ანტიოქსიდანტური დამცავი სისტემის სტატუსი წარმოადგენს დაავადების მდგომარეობის ერთ-ერთ გადამწყვეტ მარკერს. ROS წინააღმდეგ მომქმედი უჯრედის დამცავი მექანიზმები მოიცავენ მრავალრიცხოვან ენზიმურ და არაენზიმურ ანტიოქსიდანტებს.

პროექტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს იმ პირობებისა და ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც არეგულირებს MMP-ს. ოქსიდაციური სტრესის წინააღმდეგ დაცვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს უჯრედის უნარი შეინარჩუნოს რედოქს გარემო. რაც ხორციელდება ანტიოქსიდანტების აქტივობების (კატალაზა, სუპეროქსიდისმუტაზა (SOD)) პროფილის და რედოქს წყვილის GSH/GSSG (GSH-ადღებენილი გლუტათიონი, GSSG-გლუტათიონის დაუანგული ფორმა) თანაფარდობით ინსულტის ხარისხთან მიმართებაში.

წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს ინსულტის პათოგენეზის, განვითარების და პროგნოზირების ფუნდამენტალური ცოდნის გაფართოებას, რაც დამყარებულია MMP-ს დონისა და ანტიოქსიდანტური სისტემის ურთიერთკავშირის შეფასებაზე. ამის საფუძველზე პირველად განხორციელდება მწვავე ინსულტის ადრეული სტადიის ახალი სეროლოგიური ბიოქიმიური პარამეტრების მოკვლევის მცდელობა. ეს თავის მხრივ მოგვცემს ადრეული თერაპიული და ქირურგიული ინტერვენციის განხორციელების საშუალებას ინვალიდობის და სიკვდილობის შემცირების მიზნით.

2. გაფანტული სკლეროზი:

ეს არის ცნს ქრონიკული ანთებითი დაავადება, რაც მოიცავს აუტოიმუნურ მექანიზმს. დაავადება მსოფლიოში 2,5 მლნ ადამიანს აწუხებს, ის ჩვეულებრივ ემართებათ ადამიანებს 20–30 წლის ასაკში და ეს დაავადება ახალგაზრდებში მძიმე არატრავმული უუნარობის ერთერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია. დაავადების პროგრესი გამოუცნობია. პაციენტმა შეიძლება თავდაპირველად ვერანაირი სიმპტომი ვერ იგრძნოს, რაც ართულებს დიაგნოზის დასმას მანამდე, სანამ სხვა ეფექტები არ გამოვლინდება. ამჟამად ეს განკურნება შეუძლებელია. ასეთი პაციენტების მკურნალობა საჭიროებს

ისეთი დაავადების მოდიფიცირებადი აგენტებით მკურნალობას, როგორცაა ინტერფერონ-ბეტა, გლატირამერის აცეტატი, ნატალიზუმაბი, ფინგოლიმოდი, ან იმუნოსუპრესანტები. ასეთი სახის მკურნალობა ფოკუსირებულია გამწვავებების სიხშირის შესამცირებლად და ნევროლოგიური უუნარობის აკუმულაციისთვის.

მიმდინარე კლინიკური კვლევები შექმნილია ახალი კომბინირებული ინდივიდუალური აქტიური დაზიანების რაოდენობის შესაფასებლად, რაც ფასდება მრტ სკანირებით, ასევე მკურნალობისას დაავადების აქტიუობის, დაავადების პროგრესის და დაავადების მოდიფიცირების განსასაზღვრად სხვადასხვა საკვლევი წამლის ფონზე, საკვლევი წამლების უსაფრთხოების და ეფექტურობის შესაფასებლად ამ დაავადებით შეპყრობილ პაციენტებში პლაცებოსთან ან აქტიურ შემადარებელთან შედარებით. მიმდინარე ყველა კლინიკური კვლევა წარმოადგენს მე-3 ფაზის კლინიკურ კვლევას, და არის მულტიცენტრული, ორმაგი ბრმა, რანდომიზებული პლაცებო და აქტიური კონტროლირებადი, პარალელური ჯგუფების კვლევა.

3. თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია საქართველოში: პროსპექტული პოპულაციური კვლევა

განვითარებულ ქვეყნებში ონკოლოგიური დაავადებები მოზრდილთა სიკვდილობის მიზეზთა შორის მეორე ადგილს იკავებს მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ. ამ პათოლოგიებს შორის თავის ტვინის პირველად სიმსივნეებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ სწრაფი ევოლუციის და ძირითადად ფატალური გამოსავლის გამო.

თავის ტვინის სიმსივნეების ეპიდემიოლოგიური მახასითებლების დადგენა მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ონკოლოგიური სამსახურის სწორი პოლიტიკის განსაზღვრაში და ხარჯთეფექტურ დაგეგმარებაში.

პ. სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტში ჩატარებულია პილოტური ეპიდემიოლოგიური კვლევა ცერებრული სისმსივნეების ტიპების, მორბილობის და გადარჩენის (survival) მაჩვენებლების გამოსავლენად ინსტიტუტის ნეიროქირურგიული კლინიკის ხუთწლიან (1996-2000წ) მასალაზე. ანალიზი განხორციელდა ჯანმო-ს პისტოლოგიური კლასიფიკაციის შესაბამისად (WHO, 1993). კვლევის შედეგები იყო მოხსენებული ნევროლოგიური საზოგადოებების ევროპული ფედერაციის მე-8 კონგრესზე (პარიზი, 2004) და ევროპის კიბოს მე-13 კონფერენციაზე (ECCO 13 - პარიზი, 2005). კათედრის წამყვან თანამშრომლებს აქვთ საერთაშორისო ეპიდემიოლოგიურ კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება, რაზედაც მეტყველებენ მათი პუბლიკაციები და მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე. პროექტში თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადა გერმანიის კიბოს კვლევითი ცენტრის მეცნიერ თანამშრომელმა, ეპიდემიოლოგმა საბინა რორმანმა (Dr. oec. troph. Sabine Rohrmann, Abteilung Klinische Epidemiologie, Deutsches Krebsforschungszentrum, Im Neuenheimer Feld 280, 69120 Heidelberg, Germany).

კვლევის მიზანია:

- (1) თავის ტვინის პირველადი სიმსივნეებით ავადობის (ინსიდენსი), მორბილობის, რეციდივირების, კომორბიდობის და გადარჩენის მაჩვენებლების შესწავლა საქართველოს პოპულაციაში
- (2) თავის ტვინის სიმსივნეებით ადრეული და მოგვიანებითი სიკვდილობის პრედიქტორების გამოვლენა

კვლევის დიზაინი: პოპულაციური, პროსპექტული, გრძივი (longitudinal).

კვლევის ფარგლებში პროსპექტულად იქნება დაფიქსირებული და შესწავლილი თავის ტვინის პირველადი სიმსივნის ყველა შემთხვევა, რომლის გამოვლენა 3 კალენდარული წლის

განმავლობაში მოხდება ნეიროქირურგიული მიმართულების მქონე ყველა კლინიკაში საქართველოს მასშტაბით, აგრეთვე, იმ დიაგნოსტიკურ ცენტრებსა და სტაციონარებში, რომლებიც აღჭურვილნი არიან კომპიუტერული ან მაგნიტურ-ბირთვული ტომოგრაფიებით. ასაკ-და სქეს-სტანდარტიზებული ავადობა (ინსიდენსი) დაითვლება 100 000 პოპულაციაზე 1 წელიწადზე გაანგარიშებით. ავადობის სიხშირე განისაზღვრება სიმსივნეების ჰისტოლოგიური სახეობების მიხედვით. მორბილობის შესაფასებლად გამოვიყენებთ Karnofsky-ის სკალას. სიმსივნის ჰისტოლოგიური დიაგნოსტიკა მოხდება პოსტოპერაციულ, ბიოფსიურ ან აუტოფსიურ მასალაზე ჯანმო-ს უკანასკნელი ჰისტოლოგიური კლასიფიკაციის შესაბამისად (WHO, 2000) თსუ პათოლოგიის კათედრასთან თანამშრომლობით. გადარჩენის მაჩვენებლების შესწავლა მოხდება კაპლან-მაიერ-ის გადარჩენის მრუდების აგების საშუალებით. ეს უკანასკნელი მეტად სარწმუნო იქნება დაკვირვების გაგრძელების (შემდგომი 5-10 წლით) პირობებში.

დამოუკიდებელი მაჩვენებლების, როგორც გადარჩენის და სიკვდილობის პრედიქტორების გამოვლენა და ამ ურთიერთკავშირების შეფარდებითი რისკისა (relative risk) და სანდობის ინტერვალის გამოთვლა (95% confidence intervals) მოხდება კოქსის პროპორციული მოდელის (Cox Proportional Hazards Model) საფუძველზე. მონაცემები დამუშავდება სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამით STATA 7.0 (College Station, TX, USA).

კვლევის ხანგრძლივობა არის 3 წელი.

მოსალოდნელი შედეგები: კვლევა მოგვცემს საშუალებას პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში შევეფასოთ თავის ტვინის სიმსივნეების ძირითადი ეპიდემიოლოგიური პარამეტრები. კვლევის პროსპექტული დიზაინი მინიმუმამდე დაიყვანს ე.წ. სისტემური შეცდომის (bias) შესაძლებლობას. მიღებული შედეგები გახდება ის ობიექტური საფუძველი, რაზედაც აიგება საქართველოს ჯანდაცვის პოლიტიკა თავის ტვინის ონკოლოგიური დაავადებების მიმართ.

4. პოსტჰერპესული ნევრალგია- ხასიათდება დაუმორჩილებელი ნეიროპათიული ტკივილით, რომელიც გამოწვეულია ლატენტური ვარიცელა-ზოსტერ ვირუსის რეაქტივაციით. ვარიცელა-ზოსტერ ვირუსული ინფექცია ასოცირებულია ადრეულ ასაკში გამოვლენილ ჩუტყვავილას ინფექციასთან. ვირუსი რჩება პერიფერიული ნერვული სისტემის დორზალური ფესვების განგლიებში ინაქტივირებულ მდგომარეობაში. მისი რეაქტივაცია იწვევს ჰერპეს-ზოსტერულ ინფექციას. აღნიშნული ინფექცია ადამიანებში ძირითადად ვლინდება 50 წლის ზემოთ და ხასიათდება დაზიანებულ დერმატომში მწვავე ტკივილითა და გამონაყრით. პოსტჰერპესული ნევრალგიის ინსინდენსი შეადგენს დაახლოებით 1,4-4-მდე 1000 ჰერპეს ზოსტერით დაავადებულზე. იგი ვლინდება უმეტესწილად ზოსტერული ინფექციის მანიფესტაციიდან 3 თვის შემდეგ. არ არის შემუშავებული პოსტჰერპესული ნევრალგიის მკურნალობის ერთიანი მენეჯმენტი. მის სამკურნალოდ გამოყენებული სხვადასხვა პრეპარატები (ტრიციკლური ანტიდეპრესანტები, ოპიატები, ლიდოკაინი, გაბაპენტინი) ხასიათდებიან გვერდითი მოქმედებით, რაც ზღუდავს მათი გამოყენების ჩარჩოებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, Spenifex-ის ფარმაცევტულმა ჯგუფმა დაიწყო EMA401, როგორც ახალი თერაპიული მოქმედების ეფექტურობის კვლევა პოსტჰერპესული ნევრალგიის სამკურნალოდ.

5. მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის გამომწვევი მიზეზები საქართველოში

ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მეთოდების დახვეწამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩვენი ცოდნა მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის ინფექციური მიზეზების შესახებ. ეს დიაგნოსტიკური ტესტები

ფართოდ არ გამოიყენება საქართველოში, რაც აფერხებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მიერ ამ ინფექციების მართვას. ინფორმაცია მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის გამომწვევი ინფექციური აგენტების შესახებ არა მხოლოდ გააუმჯობესებს პაციენტების მკურნალობას, არამედ მნიშვნელოვნად დაგვეხმარება პრევენციის და კონტროლის ზომების გატარებაში. ამ კვლევის მიზანია მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის ინფექციური მიზეზების დახასიათება საქართველოში.

კვლევაში მონაწილეობას ვთავაზობდით მწვავე მენინგიტზე ან ენცეფალიტზე საექმო პაციენტებს (ასაკი > 2 თვე). თზტს გამოკვლევა ხდებოდა შემდეგი ტესტებით: თზტს ბაქტერიოლოგია; RT-PCR HSV-1, HSV-2, ყბავურას ვირუსი, ენტეროვირუსები, VZV, S. pneumoniae, Hib N. meningitidis. კომერციული ELISA კეთდება WNV და TBEV.

6. საქართველოში ინფექციური ეტიოლოგიის მწვავე და ქვემწვავე დუნე დამბლის ეპიდემიოლოგია და ეტიოლოგია; მიზნები და ამოცანები:

1. დუნე დამბლის სინდრომის კლინიკური, ლაბორატორიული და ელექტროდიაგნოსტიკური მახასიათებლების აღწერა მოზრდილებში და ბავშვებში.
2. მწვავე დუნე დამბლის რისკ ფაქტორების შედარება, რისთვისაც შემთხვევებს შევადარებთ ასაკითა და სქესით შესაბამის კონტროლებს.
3. შემთხვევებსა და კონტროლებში კამპილობაქტერიის ინფექციის სიხშირის განსაზღვრა და შედარება.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები:

ინსულტი – „ანტიოქსიდანტური სისტემის სტატუსი და სისხლის მატრიქსული მეტალოპროტეინაზები, როგორც ბიომარკერები მწვავე იშემიური ინსულტის შემთხვევაში:
საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა წინა ცირკულაციის მწვავე იშემიური ინსულტის მქონე პაციენტთა მონაცემების შეგროვება და დამუშავება. სისხლის პლაზმის ნიმუშების აღება ხდებოდა ინიციალურად (კლინიკაში შემოსვლისას) და დინამიკაში, ინსულტის განვითარებიდან 24-48, 72 და 98 სთ-ის ინტერვალში.

იშემიური ინსულტების ქვეტიპები Oxfordshire Community Stroke Project-ის კლასიფიკაციის მიხედვით გადანაწილდა შემდეგდაგვარად: წინა ცირკულაციის ტოტალური ინფარქტი (TACI) – 9 შემთხვევა, წინა ცირკულაციის პარციალური ინფარქტი (PACI) – 21 შემთხვევა, ლაკუნური ინფარქტი (LACI) – 9 შემთხვევა, 3 შემთხვევაში დაფიქსირდა უკანა ცირკულაციის ინსულტი (POCI), რომელიც არ იყო შეტანილი სტატისტიკურ ანალიზში მატრიქსული მეტალოპროტეინაზების და ანტიოქსიდანტური სისტემის პრედიქტორული ფასეულობის განსაზღვრისათვის, შემთხვევათა სიმცირის გამო და იმ მიზეზით, რომ ამგვარი ტიპის ინსულტები იშვითად განაპირობებენ ტვინის პროგრესირებად შეშუპებას.

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების შედეგად გამოვლინდა სარწმუნო კორელაცია მატრიქსული მეტალოპროტეინაზების აქტიობასა და ინსულტის სიმძიმეს შორის (იხ, ქვემოთ). TACI ხასითდებოდა არაკეთილსაიმედო ხანმოკლე კლინიკური გამოსავლით (Rankin-ის სკალის მაჩვენებელი >2), ხოლო PACI და LACI – შედარებით კარგი გამოსავლით (Rankin-ის სკალის მაჩვენებელი ≤2).

პლაზმის მმპ-ს მატრიქსული მეტალოპროტეინაზები) შეფასება – მმპ-9 კონცენტრაცია.

ცნობილია, რომ თავის ტვინის დაზიანება იშემიის საწყის სტადიაზე შეიძლება შექცევადი კი იყოს, ხოლო პათოლოქიმიური ცვლილებების კასკადს რომელებიც შემდგომ პერიოდში ვითარდება საბოლოოდ მიყავს პროცესი ნერვული უჯრედების ტრანსფორმაციისაკენ ნეკროზის ან აპოპტოზის გზით. ამიტომ განსაკუთრებული როლი ენიჭება მმპ-ს, რადგან მას ძირითადად იერიში სისხლძარღვების გარშემო მყოფ უჯრედშორის მატრიქსზე მიაქვს. მმპ-9 კონცენტრაცია შეფასებულია ELISA მეთოდით MMP-9 ნაკრების (IBL International, Germany) საშუალებით. მიღებული შედეგების სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მმპ-9 კონცენტრაცია განსხვავდება მხოლოდ TACI-ის შემთხვევაში. იგი სტატისტიკურად სარწმუნოდ იმატებს, რაც მიანიშნებს პროცესის შეუქცევადობაზე და მმპ-9-სპეციფიკურ ცვლილებაზე TACI-ის შემთხვევაში.

პლაზმის რედოქს ბალანსის სისტემის შეფასება

სისხლის გლუტათიონის სტატუსის მნიშვნელობა პირდაპირ კავშირშია შიდაუჯრედული ჟანგვითი პროცესის ცვლილებასთან. შესწავლილი GSH შემცველობა არ განსხვავდება სარწმუნოდ კონტროლების განსაზღვრული მნიშვნელობისაგან არც ერთ აღნიშნულ შემთხვევაში, ხოლო რაც შეეხება დაუნეგულ ფორმას იგი მნიშვნელოვნად აღემატება კონტროლისათვის რეგისტრირებულ მნიშვნელობას TACI, PACI და LACI-ის შემთხვევებში, რაც ადასტურებს არასპეციფიკურ ოქსიდაციურ სტრესს იშემიური ინსულტის პირობებში და მიუთითებს სისხლის რედოქსსტატუსის მნიშვნელოვან ცვლილებაზე შიდაუჯრედული ჟანგვითი პროცესების გაძლიერების ხარჯზე.

პლაზმის ანტიოქსიდანტური სისტემის შეფასება

სოდი - სუპეროქსიდ დისმუტაზა. Cu,Zn სოდის სოდის კონცენტრაცია შეფასებული იქნა ELISA მეთოდით **Cu,Zn სოდის** ნაკრების (IBL International, Germany) საშუალებით. დადგინდა, რომ მისი კონცენტრაცია იმატებს მხოლოდ PACI-ის შემთხვევაში. ტოტალური სოდის აქტივობა, რომელიც შეფასებული იქნა კოლორიმეტრიული მეთოდით სუპეროქსიდ დისმუტაზას ნაკრების (IBL International, Germany) საშუალებით, სარწმუნოდ იკლებს PACI და LACI-ის შემთხვევაში.

კატალაზის აქტივობა. კატალაზის აქტივობა შეფასებული იქნა ცნობილი ბიარს და საიზერის მეთოდით. აქტივობა სტატისტიკურად სარწმუნოდ იზრდება PACI და LACI-ის შემთხვევაში, რაც კორელაციაშია სოდის აქტივობის ცვლილებასთან, შესაბამისად პლაზმის ფერმენტული ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობის ცვლილება მხოლოდ ამ ორი შემთხვევისთვის შეიძლება ჩაითვალოს მახასიათებლად.

სტატისტიკური ანალიზი

იშემიური ინსულტის მქონე პაციენტებს შორის განსხვავების აღწერის მიზნით არჩეულ იქნა განსაზღვრის პროგრამა (Origin 8). სიდიდეები გაანალიზირებული იყო Mann-Whitney U ტესტის საშუალებით.

P-პარამეტრის საფუძველზე განსხვავებები სტანდარტიზირებული იყო როგორც: მნიშვნელოვანი, სარწმუნო და არასარწმუნო.

თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია საქართველოში: პროსპექტული პოპულაციური კვლევა

კვლევის პირველი წლის მონაცემები სასტენდო მოხსენების სახით წარდგა წელს შვედეთის

დედაქალაქში სტოკჰოლმში (23-27 სექტემბერი) იქ მიმდინარე ევროპის კანცერის ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენციაზე ECCO 16 და აბსტრაქტი გამოქვეყნდა ჟურნალ European Journal of Cancer

მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის გამომწვევი მიზეზები საქართველოში

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 112 პაციენტმა. თზტს ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა ყველა შემთხვევაში ჩატარდა, მაგრამ კულტურა ამოითესა მხოლოდ ერთ შემთხვევაში - *S. pneumoniae*.

მულტიპლექს RT-PCR-ით გამოკვლეული იქნა 102 თზტს ნიმუში. დამადასტურებელი ტესტირება ჩატარდა 64-ზე და მიღებული შედეგებით ნეიროინფექციის ყველაზე ხშირი მიზეზი იყო ენტეროვირუსი (23 შემთხვევა) და პნევმოკომი (10 შემთხვევა).

გაფანტული სკლეროზის და პოსტპერპესული ნევრალგიის მკურნალობის მიმართებაში დაგეგმილი და დანერგილი კლინიკური კვლევები გრძელდება. ასევე გრძელდება მწვავე და ქვემწვავე დუნე დამბლების ეტიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის საკითხების შესწავლა.

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

Sapojnikova N, Asatiani N, Kartvelishvili T, Vashadze T, Shakarishvili R, Kalandadze I, **Tsiskaridze A** – MMP-9, antioxidant defense system and extracellular cytokine HMGB1as predictors of acute ischemic stroke outcome. Cerebrovascular diseases. 2012; 33(suppl 2): 418.

Sapojnikova, **Tsiskaridze A.** et al.. **Plasma Antioxidant Activity as a Marker for a Favourable Outcome in Acute Ischemic Stroke**; Chapter in "Antioxidant Enzyme", edited by Mohammed Amr El-Missiry, ISBN 978-953-51-0789-7.

R. Shakarishvili. D. Gugutsidze. M. Kiziria. T. Vashadze. A. Tsiskaridze. **Multiple sclerosis associated fatigue and sleep disturbances.** 16th EFNS Congress in Stockholm, Sweden. 2012

რ. შაქარიშვილი. ნ. კვიციანი. მ. კვიციანი. თ. ვაშაძე. ა. ტსისკარიძე. **Multiple sclerosis associated fatigue and sleep disturbances.** 16th EFNS Congress in Stockholm, Sweden. 2012

ნ. კვიციანი, რ. შაქარიშვილი – მასთენიასთან ასოცირებული მოტორული ერთეულების პოტენციალები და კუნთოვანი ბოჭკოების სპონტანური აქტივობა; რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის მაცნე. 2012.

Kvirkvelia N, Toidze, M. Janelidze, N. Lobjanidze, N. at all; Comparison of Comorbidity of Hypertension and Mild Cognitive Impairment in atrial fibrillation's patients after Stroke and Miocardial Infarction; 8th World Stroke Congress, Brasilia, Brazil, October 10-13, 2012 p 248.

Kvirkvelia N, T. Maisuradze, M. Janelidze, N.I Lobjanidze, N. at all; Prevalence and radiological peculiarities of Stroke patients with Metabolic Syndrome and Hypertension; 8th World Stroke Congress, Brasilia, Brazil, October 10-13, 2012 , p39

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

1. საერთაშორისო კონფერენციის „ინსულტის მსოფიო ორგანიზაციის მე-5 რეგიონული კონფერენცია - თბილისი 2012: ინსულტის პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

2. 8th World Stroke Congress, Brasilia, Brazil, October 10-13, 2012

კვლევის დამფინანსებელი ორგანიზაცია/ფონდი (არსებობის შემთხვევაში):

1. „ანტიოქსიდანტური სისტემის სტატუსი და სისხლის მატრიქსული მეტალოპროტეინაზები, როგორც ბიომარკერები მწვავე იშემიური ინსულტის შემთხვევაში: – სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

2. თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია საქართველოში: პროსპექტული პოპულაციური კვლევა – სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

3. მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის გამომწვევი მიზეზები საქართველოში კვლევის სპონსორია GEIS (Global Emerging Infectious Diseases Surveillance)

4. საქართველოში ინფექციური ეტიოლოგიის მწვავე და ქვემწვავე დუნე დამბლის ეპიდემიოლოგია და ეტიოლოგია - კვლევის სპონსორია GEIS (Global Emerging Infectious Diseases Surveillance)
ორმაგი ბრმა, პლაცებო-კონტროლირებადი, რანდომიზებული კვლევა, რომელიც ტარდება პერორალურად მიღებული EMA401-ის (ანგიოტენზინ II ტიპის რეცეპტორების ანტაგონისტი) სამკურნალო კონცეფციის დამტკიცების, უსაფრთხოების, ამტანობისა და ფარმაკოკინეტიკური პროფილის განსაზღვრისათვის პაციენტებში პოსტჰერპესული ნევრალგიით.- კვლევის სპონსორია EMA (Spinifex Pharmaceuticals Pty Limited)

5. multinacionaluri, multirandomizebuli, paraleluri jgufis, placebo kontrolorebadi kvleva RRMS- ის მქონე სუბიექტების 20მგ/05მლ გლუცირამატის აცეტატის ახალი ფორმულაციის ეფექტურობა, უსაფრთხოების და ამტანობის შესაკავებლად ყოველდღიურ კანქვეშა ინექციის სახით (კანქვეშ) გამოყენებისას. - კვლევის სპონსორია TEVA (TEVA/ GA-MS-302)

6. მე-2/3 ფაზის მრავალცენტრული, რანდომიზებული, ორმხრივად ბრმა, პლაცებო კონტროლირებადი (ნაწილი A) და ორმხრივად ბრმა, ორმხრივი იმიტაციის, აქტიური კონტროლირებადი (ნაწილი BB), პარალელურ ჯგუფებში მიმდინარე კვლევა გაფანტული სკლეროზის რეციდივული ფორმით დაავადებული პაციენტის პერორალური პრეპარატებით RPC1063 მკურნალობის ეფექტიანობისა და უსაფრთხოების დასადგენად კვლევის სპონსორია RECEPTOS, Inc.

* * *

ონკოლოგიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი; ლისისტბა, 0177 თბილისი, საქართველო. ტელ: +995 322397716; ელ-ფოსტა: r.o.gagua@gmail.com ; tamar.rukhadze@tsu.ge

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: ონკოლოგია, ონკო-თორაკალური ქირურგია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: პროფ. რ.გაგუა

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): ორგანოს შემანარჩუნებელი ოპერაციები ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოსა და ტრაქეობრონქული ხის სიმსივნეების დროს

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): ფილტვის კიბო თანამედროვე ონკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ავადობის განუხრელი ხრდის, ავადობისა და სიკვდილობის თითქმის თანაბარი მაჩვენებლების გამო, ფილტვის კიბო არა ხარტო სამედიცინო, არამედ სოციალურ პრობლემათა კატეგორიას განეკუთვნება. საქართველოში კოველწლიურად რეგისტრირდება ფილტვის კიბოს დაახლოებით 800 ახალი შემთხვევა. სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი 500-600-ს აღემატება. პრობლემის აქტუალობას განაპირობებს ასევე დაავადების ადრეული ფორმების გამოვლინების სირთულეები და არსებული სამკურნალო საშუალებების დაბალი ეფექტურობა.

ქიმიო- და სხივური თერაპიის უდავო პროგრესის მიუხედავად, რადიკალური ოპერაცია წარმოადგენს ფილტვის კიბოს, განსაკუთრებით მის არაწვრილუჯრედოვანი ფორმების, სურნალობის ძირითად მეთოდს. მხოლოდ რადიკალური ოპერაციის შემდეგაა შესაძლებელი ხელწეულ იქნას ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი შორეული შედეგები. სამწუხაროდ ოპერაბელობისა და რეზექტაბელობის მაჩვენებლები ფილტვის კიბოს დროს საკმაოდ დაბალია და ირრველადად გამოვლინებულ ავადმყოფთა შორის იგი 15-18%-ს არ აღემატება. ასეთი დაბალი მაჩვენებლების მიზეზთა შორის, ადრეული დიაგნოსტიკის სკრინინგული პროგრამების უეფექტობის ხარაღელურად, უდავო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროს გაფართოებული და კომბინირებული ოპერაციების არაპოპულარობას და ე.წ. 'ფუნქციური ინოპერაბელობის' მაღალ პროცენტს.

სეტად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გააზრებულ იქნას ის, თუ რამდენად რეალურია რადიკალურ ოპერაციაზე უარის თქმის მინიმუმამდე დაყვანა იმ პაციენტთა შორის, რომელთაც დასმული აქვთ ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დიაგნოზი, ხოლო თანმხლები დაავადებები და ხანდაზმული ასაკი არ იძლევა ისეთი ტრადიციული მოცულობის ოპერაციის კაკეთების საშუალებას, როგორცაა გაფართოებული და კომბინირებული პნევმონექტომია.

ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროს ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციების უშვიათობის, სირთულეების და პროგნოზირებადი არადაამაკმაყოფილებელი გამოსავლის კათვალისწინებით, კლინიკური მასალა საკმაოდ რეპრეზენტულია. ზოგიერთი ავტორები ახერხებენ რაქტიკულად ყველა ქირურგიული პრობლემის დასმასა და გადაწვეტას. დიგ ნაშრომებში ოანმიმდევრულადაა განხილული ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროს ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციების ჩვენებები და უკუნჩვენებები, წინასაოპერაციო მომზადების იერაპიული სქემები და მათი ეფექტურობა, დეტალურადაა გადმოცემული გაფართოებული,

კომბინირებული, გაფართოებულ-კომბინირებული, ბრონქოპლასტიკური ოპერაციების სეთოდოლოგიური ასპექტები. ნაჩვენებია, რომ ქირურგიული მანიპულაციების ზუსტი და ღებალური შესრულება შესაძლებლობას იძლევა, ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროსაც კი, გაკეთდეს ორგანოდამზოგველი ოპერაციები ლობ-ბილობექტომიის სოცულობით. ასეთი აგრესიული ქირურგიული ტაქტიკა უდავოდ ზრდის ოპერაბელობის და რეზექტაბელობის მაჩვენებლებს და რადიკალურად ნაოპერაციევი ავადმყოფების რიცხვს.

ქალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: მკურნალობის რეკომენდირებული სეთოდების ეფექტურობის დადგენის მიზნით ავტორებს შესწავლილი აქვს გაფართოებული კომბინირებული და ბრონქოპლასტიკური ოპერაციების შედეგები. ნაჩვენებია, რომ ოპერაციის შემდგომი სიცოცხლის ხანგრძლივობა აღემატება მხოლოდ კონსერვატიული ქიმიო-სხივიური თერაპიის შემდგომ სიცოცხლის ხანგრძლივობას. ლობ-ბილობექტომიათა და პნევმონექტომიის ქორეული შედეგების შესწავლისას დადგენილია, რომ ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროს ამორჩევით ოპერაციას პნევმონექტომია წარმოადგენს და ნაწილობრივი რეზექციები რამდენადმე კომპრომისულ ხასიათს ატარებს. თუმცა თერაპიული ალტერნატივის არარსებობის კამო, პნევმონექტომიის “ფუნქციური გადაუტანლობის” შემთხვევებში, დამზოგველი ოპერაციები არულიად გამართლებულია და მათი ფართო გამოყენება აბსოლუტურად მისაღები.

იანამედროვე ონკოლოგიური ქირურგიის ყველაზე რთულ, მაგრამ პროგრესულ მიმართულებად რეკონსტრუქციულ-ადგენითი და პლასტიკური ოპერაციების დანერგვა ითვლება. რეკონსტრუქციული და ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები ითვალისწინებს როგორც რადიკალურ ქირურგიულ ჩარევას, ასევე სხვადასხვა ორგანოთა ფუნქციურ რეაბილიტაციას.

ასეთი სახის ქირურგიული ჩარევები მრავალი თავისებურებებით ხასიათდება და დამოკიდებულია დაავადების ლოკალიზაციასა და გავრცელებაზე. პლასტიკური ოპერაციები ფართოდ უნდა დაინერგოს კანის, რბილი ქსოვილების, ძვალ-სახსართა დაავადებების, სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვადასხვა სეგმენტების, შარდის ბუშტის და სხვა ორგანოთა ქირურგიული მკურნალობის დროს. აღნიშნულ ორგანოთა ანატომიური თავისებურებების გათვალისწინებით ქირურგები მოქმედებისა და იმპროვიზაციის შედარებით ფართო დიაპაზონს ფლობენ.

რეკონსტრუქციული და პლასტიკური ოპერაციების არეალი ტრაქეასა და ბრონქებზე შედარებით შეზღუდულია, რაც განპირობებულია მათი ანატომიური მახასიათებლებით, ძირითადად მათი კედლების ფიქსირებული კარკასით, სიგრძით, დიამეტრის სტაბილურობით, ტრაქეობრონქული ხის სხვადასხვა სეგმენტის განსხვავებული და ქირურგიულად რთულად შესათავსებელი დიამეტრით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ტრაქეული, ტრაქეობრონქული და ბრონქოთაშორისი ანასტომოზები დღეისათვის შერთულთა ყველაზე რთულ და ძნელად პროგნოზირებად სახეებს განეკუთვნება. ამასთან, გასათვალისწინებელია ენდოტრაქეული და ენდობრონქული ნარკოზის თავისებურებები, ფილტვის პარენქიმის ინტრაოპერაციული

ფუნქციური დატვირთვა და დარჩენილი პარენქიმის აქტივობის დაუყოვნებლივი აღდგენის აუცილებლობა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სირთულეებისა, რეკონსტრუქციულ-აღდგენითი ოპერაციების ჩვენებათა დიაპაზონის ზრდა თანამედროვე თორაკალური ონკოლოგიის და ქირურგიის განვითარების ყველაზე პროგრესულ ტენდენციადაა მიჩნეული.

საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში აღნიშნული ოპერაციები განყოფილების ჩამოყალიბების (1980წ.) პირველივე წლებიდან იხერხება. ფილტვებისა და ბრონქების ადგილობრივად გავრცელებული კიბოს მაღალი სიხშირის გათვალისწინებით, შემუშავებული და დანერგილი იქნა ბრონქო- და ბრონქოანგიოპლასტიკური ოპერაციები ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროს, როდესაც ადგილი ჰქონდა სიმსივნის მასიურ ადგილობრივ ინვაზიას მთავარ ბრონქში, ფილტვის არტერიაში, სხვადასხვა ინტრათორაკალურ სტრუქტურებში და/ან მეტასტაზების არსებობას ფილტვის კარის და შუასაყრის ლიმფურ კვანძებში.

მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ტრაქეისა და ბრონქების რეზექციისა და პლასტიკის ჩვენებები, ავადმყოფთა წინასაოპერაციო მომზადების ზოგადი და კერძო პრინციპები, მოცემულია სხვადასხვა ოპერაციის შესრულების მეთოდოლოგიური ასპექტები, შესწავლილია ოპერაციის შემდგომი გართულებების სიხშირე და სტრუქტურა. დადგენილია მათი ეფექტურობა სიმსივნეთა ჰისტოლოგიური სტრუქტურის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ქირურგიული მანიპულაციების ზუსტი და სკრუპულოზური შესრულება შესაძლებლობას იძლევა ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროსაც კი გააკეთდეს ორგანოდამზოგველი ბრონქოპლასტიკური ოპერაციები ღობ-ბილობექტომიის მასშტაბით, რაც ზრდის ოპერაბელობისა და რეზექტაბელობის მაჩვენებლებს და რადიკალურად ნაოპერაციებ ავადმყოფთა რიცხვს.

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

მიმდინარე წელს მკვლევარებს კვლევის ორგვლივ სემინარი და სამუშაო შეხვედრა ჩატარდა:

რეზიდენტებისათვის (ონკ, საქართველო);

თსუ მედიცინის სტუდენტებისათვის (ონკ, საქართველო);

საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის სხდომაზე;

სევე საქართველოს ონკოლოგთა და რადიოლოგთა ერთობლივ შეხვედრაზე;

საქართველოს რესპირაციული ასოციაციის კონფერენციაზე (ანაკლია, საქართველო).

თემატიკის ორგვლივ მოხსენება გაკეთდა:

17-19 სექტემბერი 2012, IARC-ის ყოველწლიური შეხვედრა- კონფერენცია (კორკი, ირლანდია);

28 სექტემბერი 2 ოქტომბერი 2012, ESMO-ს მსოფლიო კონგრესი (ვენა, ავსტრია);

05-07 სექტემბერი 2012, dsT-s qveynebis onkologTa da radiologTa kongresi (astana, yzaxeTi).

დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): მედიცინის ფაკულტეტის დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტი; ლუბლიანას ქ. 5 შპს „კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი“, 2953564, 2957744; tina_kituashvili@yahoo.com

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: დერმატო-ვენეროლოგია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: სრული პროფესორი გიორგი გალდავა, ასოცირებული პროფესორი თინა ქიტუაშვილი

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური):

1. გლობალური ფონდის პროექტი “აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში (კომერციული სექს-მუშაკი ქალები, ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცები და პატიმრები)”

2. დამარბილებელი კრემის RV1593J LR0525 რანდომიზებული, ორმაგად ბრმა, ბაზისური დამარბილებელით კონტროლირებადი, პროსპექტული კვლევა წყნარ ფაზაში მიმდინარე ატოპიური დერმატიტით (დიფუზური ნეიროდერმიტი) დაავადებულ ლოკალური კორტიკოსტეროიდების მომხმარებელ ბავშვებში.

(“A randomized, double blind, emollient-base-controlled, prospective study of the effect of RV1593J LR0525 emollient cream on topical corticosteroids consumption in children with atopic dermatitis (AD) during the maintenance phase”)

3. პროგრამა " 2012 წლის სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების პროგრამის

ფარგლებში სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება.”

4. თავის თმიანი მიდამოს მიკოზების ეპიდემიოლოგიური თავისებურებანი საქართველოში

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა):

1. ერთ-ერთი ძირითადი რგოლი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არის სქესობრივი გზით გადამდები დაავადების აქტიური გამოვლინება და კერების სანაცია, აგრეთვე ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის გაძლიერება.

სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა აქტიური გამოვლინება და მათი პრევენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სარისკო ქცევის ჯგუფებში (კომერციული სექსმუშაკი ქალები CSW და მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან MSM და პატიმრებში). პროგრამა ითვალისწინებს CSW, MSM-ის და პატიმრების პროფილაქტიკურ გამოკვლევას და მკურნალობას, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და მათი გავრცელების გზების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და უსაფრთხო სექსის ჩვევების დანერგვას ამ ჯგუფებში.

2012 წელს გლობალური ფონდის ფარგლებში მიღებულ იქნა 320 პირი, მათ შორის 118 სექსმუშაკი ქალი, 102 მამაკაცი ჰომოსექსუალი (მსმ) და 100 პატიმარი.

გამოვლინდა შემდეგი სგვ დაავადებები: სიფილისი, გონორეა, ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, ბაქტერიული ვაგინიტი, კანდიდოზური ვაგინიტი, არასპეციფიური ენდოცერვიციტი და ურეთრიტი. უფასო მედიკამენტებით მკურნალობა ჩატარდა 61 პაციენტს.

– გამოკვლევისას აღებულ პათოლოგიურ მასალაში შესწავლილ იქნა ბაქტერიების რეზისტენტობა ანტიბიოტიკებისადმი ევროპის დაავადებათა კონტროლის ნაციონალურ ცენტრთან ერთად;

– შესწავლილ იქნა სგვდ გავრცელების თავისებურებანი რისკ-ჯგუფებში;

– გაკეთდა სგვდ ევროპული და ადგილობრივი გაიდლაინების მიხედვით მკურნალობის შედეგების შედარებითი ანალიზი.

2. დამარბილებლები (კრემი, დამატენიანებელი და საბაზანე საშუალებები) ყველაზე ფართოდ გამოიყენება ატოპიური დერმატიტის (ად) მკურნალობისას. დამარბილებლების გამოყენება რეკომენდებულია ად-ის გამწვავების მკურნალობისას, როგორც დამატებითი ლოკალური სამკურნალო საშუალება, მაგრამ ძირითადად გამოიყენება დაავადების რეციდივის თავიდან ასაცილებლად.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დამარბილებლები ფართოდ გამოიყენება ად-ს მკურნალობაში, მათი სარგებლიანობა ამ მიმართულებით ძალიან მცირე, დაუზუსტებელი და არაკონტროლირებული კვლევებით არის შეფასებული. მას შემდეგ, რაც ზოგიერთი კლინიკური კვლევის მონაცემებით მნიშვნელობა მიენიჭა დამარბილებლების პოტენციურ როლს, როგორც კორტიკოსტეროიდების დამზოგველ საშუალებას, საჭირო გახდა კვლევა მიმართულიყო RV1593J LR0525 დამარბილებელი კრემის სარგებლიანობის შესაფასებლად ლოკალური კორტიკოსტეროიდის მოხმარების რაოდენობის შემცირების კუთხით (სტეროიდების დაზოგვის ეფექტი).

კვლევის მიზანი იყო, შეფასებულიყო RV1593J LR0525 დამარბილებელი კრემის ეფექტურობა და უსაფრთხოება ღV1593ჟ ჟთ0438 დამარბილებელთან შედარებით, ატოპიური დერმატიტით დაავადებული ექვსი თვიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას.

კვლევის პირველადი ამოცანა იყო: RV1593J LR0525 დამარბილებელი კრემის სარგებლიანობის შეფასება ლოკალური კორტიკოსტეროიდების მოხმარებაზე ბავშვებში სტაბილური ატოპიური დერმატიტით (რემისიის პერიოდში, გამწვავების გარეშე) მოხმარებული ლოკალური კორტიკოსტეროიდების (ლკს) ოდენობის განსაზღვრით მოხმარების ფაზის სამ თვეში.

მეორადი ამოცანა იყო: მოხმარების პერიოდში RV1593J LR0525 დამარბილებელი კრემის სარგებლიანობის შეფასება სტაბილური ად-ით დაავადებული ბავშვების მკურნალობაში:

- გავლენა დაავადების უცარი გამწვავების პრევენციაზე.
- ატოპიური დერმატიტის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებზე გავლენა SCORAD და POSCORAD - ის მიხედვით.
- გავლენა ერთი თვის განმავლობაში ლკს მოხმარების რაოდენობაზე.
- ეფექტურობა, შეფასებული მკვლევარების და მშობლების მიერ ოთხნიშნაანი შკალის გამოყენებით.
- RV1593J LR0525 დამარბილებელი კრემის უსაფრთხოების დადასტურება ად-ით დაავადებულ ბავშვებში დაავადების მართვისას.
- საკვლევი პროდუქტის კოსმეტიკური მიზანშეწონილობის შეფასება სპეციალური კითხვარის გამოყენებით.

მეთოდოლოგია: საერთაშორისო მულტიცენტრული, ორმაგად ბრმა, III ფაზის კვლევა ორ

პარალელურ ჯგუფს შორის RV1593J LR0525 დამარბილებელი კრემის და RV1593JIT0438 საბაზისო დამარბილებლის გამოყენებით 22 სუბიექტში.

3. ქვეყნის თავდაცვის სამსახურში ჯანმრთელი მოსამსახურის არსებობა საქართველოს სამხედრო კანონმდებლობით განსაზღვრული აუცილებლობაა.

პროგრამის მიზანი იყო სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა შორის კანისა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა გამოვლენა.

ამ მიზნით ჩატარდა სამხედრო ძალებში გასაწვევი ასაკის მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება და ლაბორატორიული გამოკვლევა კანისა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა გამოვლენის მიზნით.

4. საქართველოში თავის თმინი არის მიკოზების შესწავლა ყოველთვის აქტუალური იყო. თუმცა, ბოლო 25 წლის მანძილზე მის ეპიდემიოლოგიაზე, გამომწვევთა სპექტრსა და კლინიკურ გამოვლინებათა თავისებურებებზე მონაცემები არ არსებობს. ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი საქართველოში თავის თმინი არეების მიკოზების თემაზე 1986 წელს გამოქვეყნდა. დაახლოებით ამ პერიოდიდან არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ამ დაავადების შესახებ, რადგან ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმის შემდეგ, დისპანსერები შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებად გარდაიქმნენ და მსგავსი დაავადების შემთხვევების დაფიქსირებისას სან-ეპიდ-სადგურებისთვის შეტყობინების ანგარიშვალდებულება არ აქვთ.

კვლევის მიზანი იყო თავის თმინი მიდამოს მიკოზების ეპიდემიოლოგიურ თავისებურებათა შესწავლა.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები:

2. კვლევა ჩატარდა ატოპიური დერმატიტით დაავადებული ექვსი თვიდან ექვს წლამდე ასაკის 22 ბავშვზე. რაიმე გვერდით მოვლენას ადგილი არ ჰქონია. დამარბილებლების გამოყენებით მიღწეული იქნა რემისიის ხანგრძლივობის გაზრდა. ჩვენს მიერ RV1593J LR0525 დამარბილებელი კრემისა და RV1593JIT0438 საბაზისო დამარბილებელი კრემის ეფექტურობის შედარებითი შეფასება ვერ შეფასდა, რადგან კვლევა ჩატარდა საერთაშორისო მულტიცენტრული, ორმაგად ბრმა მეთოდით.

3. 2012 წელს სულ გასინჯული იყო 131 ახალგაზრდა, რომელიც გამოგზავნილი იყო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიის მიერ. მათ შორის გამოვლინდა შემდეგი დაავადებები: სიფილისი, კანის, მისი დანამატების და ლორწოვანი გარსების სხვადასხვა სოკოვანი დაავადებები (სხვადასხვაფერი პიტირიაზი, ონიქომიკოზი, ტერსის და საზარდულის მიკოზი, კანდიდოზი),

ფსორიაზი და სხვ.

4. შესწავლილი იყო კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნულ ცენტრში გამოვლენილი თავის თმიანი მიდამოს მიკოზით დაავადებულნი დაავადების კლინიკური ფორმისა და გამომწვევის დადგენის მიზნით. ავადმყოფებს უტარდებოდათ კომპლექსური გამოკვლევა. კერძოდ,

- კერიდან აღებული მასალის მიკროსკოპიული და კულტურალური გამოკვლევა;
- კერების ლუმინესცენტული მეთოდით გამოკვლევა;
- სისხლის საერთო ანალიზი ჩვენების მიხედვით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში აქტუალურია ზოოფილური და იშვიათად გვხვდება ანთროპოფილური ფორმის თავის თმიანი არის მიკოზები. ავადობის მაჩვენებლები შედარებით მაღალი იყო საგარეჯოს, მარნეულის, ბოლნისისა და ამბროლაურის რაიონებში. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თავის თმიანი არის მიკოზების ძირითადი ეტოლოგიური აგენტები არიან ზოოფილური სახეობები *Trichophyton mentagrophytes* და *Microsporum canis*. დაავადება ძირითადად ბავშვებში, 5-8 წლის ბიჭებში გვხვდება.

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

1. გლობალური ფონდის პროექტი “აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში (კომერციული სექს-მუშაკი ქალები, ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცები და პატიმრები)” კვლევის შედეგები გამოქვეყნდა:

გიორგი დურგლიშვილი, გიორგი გალდავა - „უროგენიტალური ინფექციების ალტერნატიული მკურნალობა - ჟურნალი „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“ N5, 2012, გვ.52-55.

4. თავის თმიანი მიდამოს მიკოზების ეპიდემიოლოგიური თავისებურებანი საქართველოში – კვლევის შედეგები გამოქვეყნდა:

George Galdava, Victoria Sulava – „Pespeqtives of Tele dermatology development in Georgia“- ტელედერმატოლოგიის მსოფლიო IV კონგრესის მასალებში

დერმატოლოგთა და ვენეროლოგთა ევროპის აკადემიის” მე-9 სიმპოზიუმის მასალებში:

Kudava K., Galdava G., Tvaliashvili G., Kituashvili T. „Tinea capitis: Dermatophytid reaction” - 9th EADV Spring Symposium “A dermatological opera”. Verona, Italy 6-10 June, 2012.

ჟურნალში „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“ N5, 2012

ხათუნა კუდავა, გიორგი გალდავა, თინა ქიტუაშვილი, „თავის თმიანი მიკოზების ძირითადი ეტიოლოგიური ფაქტორები საქართველოში“.

Китуашвили Т.А., Кудава Х.Т. К вопросу этиологии дерматофитозов волосистой части головы. Современная микология в России. Том 3. Тезисы докладов третьего съезда микологов России. ст.473. Москва, 2012.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

1. გლობალური ფონდის პროექტი “აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში (კომერციული სექს-მუშაკი ქალები, ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცები და პატიმრები)” კვლევის შედეგები მოხსენებული იყო ტელედერმატოლოგიის მსოფლიო IV კონგრესზე: George Galdava, Victoria Sulava – „Pespeqtives of Tele dermatology developmenT in Georgia”

4. თავის თმიანი მიდამოს მიკოზების ეპიდემიოლოგიური თავისებურებანი საქართველოში – კვლევის შედეგები მოხსენებული იყო 2012 წლის 6-10 ივნისს “დერმატოლოგთა და ვენეროლოგთა ევროპის აკადემიის” მე-9 სიმპოზიუმზე ვერონაში (იტალია).

კვლევის დამფინანსებელი ორგანიზაცია/ფონდი (არსებობის შემთხვევაში):

1. „გლობალური ფონდი“.
2. ფრანგული ფარმაცევტული კომპანია “Pierre Fabre Dermo-cosmetics”.
3. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო

* * *

გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): მედიცინის ფაკულტეტის გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი givikats@yahoo.com

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: ტოქსიკოლოგია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: გივი კაციტაძე, ასოცირებული პროფესორი

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): „შხამქიმიკატებით მწვავე მოწამვლის პრობლემა საქართველოში“

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): მთელ მსოფლიოში

ქიმიური ნივთიერებების, და მათ შორის შხამქიმიკატების მოხმარების მნიშვნელოვანმა

ზრდამ გარკვეული პრობლემები შეუქმნა ადამიანთა ჯანმრთელობას. ყველა ქვეყანაში,

მათ შორის საქართველოში, მკვეთრად იმატა მწვავე მოწამვლების რიცხვმა, ლეტალური

გამოსავლითაც, რაც ამ პრობლემას უაღრესად აქტუალურად ხდის.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: მიმდინარეობდა დაკვირვება სპილენძის საფუძველზე სინთეზირებული შხამქიმიკატი-შაბიამანით (რომელიც ფართოდ გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში) მწვავე ინტოქსიკაციის გამომწვევი მიზეზებისა და კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებათა ანალიზი. დადგენილ იქნა საინტერესო განსხვავებები პერორალური და ინტრავენური ინტოქსიკაციის მიმდინარეობაში, რაც საერთაშორისო ლიტერატურაში ძალზე მწირად არის გაშუქებული.

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

1.G.Katsitadze, A.RexviaSvili „Reprochubiliti and deiagnostic for patints with complains on heart arrithmias" „Georgian Medical Nevs" 2012,203, 29-33.

2.A. RechviaSvili, G. Katsitadze,„Pirindopril induced improvement of endothelial function " „Experimental and clinical nevs" 2012, 3, 44-47.

* * *

სტომატოლოგიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/მედიცინის ფაკულტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი. 5 77 44 0888, v_marg@yahoo.com

მეცნიერების დარგი: სტომატოლოგია

სამეცნიერო მიმართულება: ეპიდემიოლოგია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: პროფ. ვლადიმერ მარგველაშვილი, ასოც. პროფ. მანანა კალაბაძე, მოწვეული პედაგოგი მარიამ მარგველაშვილი, მოწვეული პედაგოგი რუსუდან ივანიშვილი, დოქტორანტი ნინო ცინცაძე, რეზიდენტი გიორგი აფხაძე.

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): საქართველოს ბავშვთა ასაკის მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსის დადგენა.

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): აღნიშნული ტიპის კვლევა არ ჩატარებულა საქართველოში ბოლო 25 წელი. ამიტომ მნიშვნელოვანია ბავშვთა ასაკის მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსის დადგენა, რომელიც მოიცავს კარიესის გავრცელების და ინტენსივობის განსაზღვრას სარძევე და მუდმივ კბილებში, პაროდონტის ქსოვილების დაავადებების დადგენას, პაროდონტალური და ჰიგიენური ინდექსების დადგენას და თანკბილვის პათოლოგიების გამოვლინებას.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: კარიესის გავრცელება ბავშვთა ასაკის მოსახლეობაში არის 1.81 (მუდმივ კბილებში). პაროდონტის ქსოვილების დაავადებები საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში. სურათი უფრო მძიმეა ვაჭებში, გოგნებთან შედარებით.

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები მოხსენებული იქნა 3 პრეზენტაციის სახით IADR International Association for Dental Research - სტომატოლოგიური კვლევების საერთაშორისო ასოციაციის ევროპის კონგრესზე, 12-15 სექტემბერი, 2012, ჰელსინკი, ფინეთი

Bilder L, Machtei E, Margvelashvili M, Ivanishvili R, Levin L. Traumatic Dental Injuries among Children in Georgia: A Pathfinder Study. PER/IADR Congress, Helsinki, Finland, September 2012.

Margvelashvili V, Kalandadze M, Bilder L, Scan-Cohen HD, Levin L, Gordon M. Dental Caries Experience among Schoolchildren in Georgia. A Pathfinder Study. PER/IADR Congress, Helsinki, Finland, September 2012.

Levin L, Margvelashvili V, Kalandadze M, Tsintsadze N, Machtei E. Periodontal Status among Adolescence in Georgia. A Pathfinder Study. PER/IADR Congress, Helsinki, Finland, September 2012.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

კვლევის დაწყებამდე მკვლევარებისათვის ჩატარდა უორქშოფი და მოხდა მკვლევარების კალიბრაცია.

კვლევის შედეგები მოხსენებული იქნა საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის და FDI - მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციის უწყვეტი განათლების კონფერენციაზე „დენტალ თბილისობა“ 2012, 14 ოქტომბერი, 2012, თბილისი.

კვლევის დამფინანსებელი ორგანიზაცია/ფონდი (არსებობის შემთხვევაში): IADR International

* * *

ფარმაცოლოგიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): მედიცინის ფაკულტეტი, ფარმაცოლოგიის დეპარტამენტი ჭიაურელის ქ. 2 293 44 37; მობილური ტელ. 577 40 56 86 tamarkezeli@tsu.ge, tamarakezeli@hotmail.com

მეცნიერების დარგი: მედიცინა

სამეცნიერო მიმართულება: ფარმაცოლოგია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: ხელმძღვანელი: თ. კეზელი, პერსონალი: მ. ჭიპაშვილი; მ.კოპალიანი; გ. ტაბიძე

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): კარდიოტროპული და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მოქმედების მექანიზმების შესწავლა გულსისხლძარღვთა სისტემის რეგულაციის ცენტრალურ და პერიფერიულ კომპონენტებზე შაქრიან დიაბეტთან ასოცირებული გულის იშემიური დაზიანების, არტერიული ჰიპერტენზიისა და გულის უკმარისობის დროს.

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): უკანასკნელ წლებში გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მკურნალობისას ტრადიციულ სამიზნეებთან ერთად ყურადღებას იპყრობს როგორც გულის ფუნქციის მაკორეგირებელი საშუალებების, ასევე ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების - ციტოკინებისა და ლეიკოტრიენების ანტაგონისტების ზეგავლენის შესწავლა კარდიოვასკულური სისტემის სხვადასხვა პათოლოგიის დროს განვითარებულ ცვლილებებზე, რაც ვლინდება მიოკარდიუმში მეტაბოლიზმის დარღვევით, ენდოთელიუმის დისფუნქციითა და ჰემოდინამიკის რეგულაციის ჰომეოსტატური მექანიზმების მოშლით. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული გულის იშემიური, ნეკროზულ-ანთებითი დაზიანებით და მეტაბოლური სინდრომით ინიცირებული გულის ქრონიკული უკმარისობის რაციონალური თერაპიის სტრატეგია, რომლის შემუშავების სირთულე ამ პათოლოგიის ჰეტეროგენობითა და მისი მულტიფაქტორულობით არის განპირობებული. სხვადასხვა გაიდლაინების მრავალი რევიზიის მიუხედავად, გულის ქრონიკული უკმარისობის რაციონალური ფარმაცოთერაპია ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფისგან, რომლის ეფექტურობის ძირითად დეტერმინანტებად ლეტალობის შემცირება, სიცოცხლის გახანგრძლივება, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს. მრავალი მკვლევარის აზრით გულის უკმარისობის მკურნალობის ოპტიმიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკული უზრუნველყოფის სისტემის დისრეგულაციისა და სისხლძარღვთა ენდოთელიუმის დისფუნქციის მექანიზმების შესწავლას, აგრეთვე კარდიომიოციტების მოფუნქციონირე აპარატის მხრივ დარღვევებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მკურნალობის პროცესში ისეთი პრეპარატების ჩართვას, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენენ გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების განვითარების პათოგენეზურ და ადაპტაციურ მექანიზმებზე.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენს კლინიკურ და ექსპერიმენტულ კვლევებში შესწავლილ იქნა გულის მეტაბოლიზმზე მოქმედი საშუალების ადენოცინისა და ცისტინური ლეიკოტრინების ანტაგონისტის ზაფირლუკასტის ზეგავლენა გულის ექსპერიმენტული იშემიის, ასევე შაქრიან დიაბეტთან და არტერიულ ჰიპერტენზიასთან ასოცირებული სტაბილური სტენოკარდიისა და გულის უკმარისობის დროს.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: პირველი კვარტალი: კლინიკურად მიღებულია შედეგები ადენოცინის დადებითი ზეგავლენის შესახებ ინტრაკარდიულ ჰემოდინამიკაზე, აგრეთვე ციტოკინებისა და აუტოიმუნური კომპლექსების პროფილზე არტერიული ჰიპერტენზიითა და ქრონიკული იშემიური დაავადებით გამოწვეული, მარცხენა პარკუჭის დისფუნქციით მიმდინარე გულის ქრონიკული უკმარისობის დროს.

მეორე კვარტალი: კლინიკურად მიღებულია შედეგები ადენოცინის პოზიტიური ზეგავლენის შესახებ გულში ნიკოტინამიდ ადენინ დინუკლეოტიდის მარაგზე და რედოქს პოტენციალზე შაქრიან დიაბეტთან შეუღლებული სტაბილური სტენოკარდიის დროს; დადგენილია მისი უპირატესობა ბეტა აგონისტებთან და დოსფოდისთერაზას ინჰიბიტორებთან შედარებით გულის უკმარისობის დროს, ვინაიდან ეს უკანასკნელი გულის ინოტროპული ფუნქციის გაუმჯობესებასთან ერთად ზრდიან არითმიებისა და სხვა არასასურველი საპასუხო რეაქციების განვითარების რისკს.

მესამე კვარტალი: მიღებულია ექსპერიმენტული შედეგები ზაფირლუკასტის დადებითი მამოდულირებელი ზეგავლენის შესახებ ენდოთელურ დისფუნქციაზე მიოკარდიუმის ექსპერიმენტული იშემიური დაზიანებისას, რომლის დროსაც პრეპარატი ამცირებდა ვაზოკონსტრიქციული აგენტის, ენდოთელინ I-ის პროდუქციას, რაც ასოცირდებოდა გულის სისტოლური და დიასტოლური ფუნქციის გაუმჯობესებასთან.

მეოთხე კვარტალი: მიღებული ექსპერიმენტული შედეგები ზაფირლუკასტის დადებითი ზემოქმედების შესახებ ფლავანოიდებთან კომბინაციაში გულის იშემიური დაზიანებით განვითარებული კარდიული არითმიების დროს.

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

Popkova A.A.Sukoyan G. V.Malikov V.E.Et.al; Pharmacocorrection of redox-potential and pool of NAD as a new Therapeutic targets for the treatment of chronic stable angina accompanied with diabetes mellitus –Proceedings of the British Pharmacological society, Vol 10, issue 3, abstr. p303

Донецкая О. П. Тулупова В.А. Берберашвили Э.И. Долидзе Н.М. – Действие кардиотонических средств на цитокиновый профиль и уровень фнтител к кардиолипину при ХСН – XIX Российский национальный конгресс “Человек и лекарство” С б. тезисов докладов, Москва 23-27 апреля 2012, Стр76-77

გონგაძე ნ.ვ. სუკოიანი გ.ვ. დოლიძე ნ.მ. – ლეიკოტრინების გულსისხლძარღვთა ეფექტების

* * *

უროლოგიის დეპარტამენტი

საკონტაქტო ინფორმაცია (ინსტიტუტი/ფაკულტეტი, ლაბორატორია, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა): ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი თეიმურაზ ჩიგოგიძე. თბილისი, ატენის ქუჩა №18ა ბ.21. მობ.: 577-44-08-89. ელ. ფოსტა teimurazc@hotmail.com

მეცნიერების დარგი: მედიცინის

სამეცნიერო მიმართულება: უროლოგია, მოლეკულური ბიოლოგია

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ჩიგოგიძე (ხელმძღვანელი), ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანა კოტრიკაძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლავრენტი მანაგაძე.

კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური): პროსტატის სიმსივნური ტრანსფორმაციის კვლევა

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა): პროსტატის სიმსივნეები მამაკაცთა ონკოლოგიურ დაავადებებს შორის პირველ ადგილს იკავებს და პოლიეტოლოგიურ დაავადებათა ჯგუფს მიეკუთვნება. აღნიშნული სიმსივნეების პათოგენეზში წამყვანი როლი გენეტიკურ, ინფექციურ, იმუნურ, ჰორმონალურ, გარემო და ალიმენტურ ფაქტორებს ენიჭება. დაავადების ფორმირებასა და პროგრესირებაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი რისკ-ფაქტორების ერთობლივი მოქმედებაც. დადგენილია, რომ პროსტატის სიმსივნეებით ძირითადად ასაკოვანი მამაკაცები (65-75 წელი) ავადდებიან, თუმცა ბოლო პერიოდში სტატისტიკა მიუთითებს პროსტატის კიბოს შემთხვევათა ზრდაზე 40-50 წლის მამაკაცებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სრულყოფილი არ არის დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა. დღემდე არ არსებობს სრული, კომპლექსური სადიაგნოსტიკო ტესტები, რომლებიც საწყის ეტაპზევე გამოავლენს პროსტატის სიმსივნეებს. შედეგად ავადმყოფთა 60-80%-ს პროსტატის პროგრესირებული და მეტასტაზური სიმსივნე დაავადების კლინიკური გამოვლენისას უფიქსირდება.

კვლევები ჩატარდა შემდეგი მიმართულებით:

ერიტროციტების მემბრანული რეგულაციის ცვლილებების შესწავლა პროსტატის სიმსივნეების

შემხვევაში, როგორც პლასტიკურ ორქექტომიამდე (კასტრაციამდე), ასევე პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ;

სიმსივნური ქსოვილის ეპითელური უჯრედების მიტოქონდრიების მიტოქონდრიალური დეფექტების როლის შესწავლა პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებაში;

დაწვებულია და გრძელდება პროსტატის პლასტიკური ორქექტომიის შემდგომ ჰორმონრეზისტენტული კიბოს მექანიზმების კვლევა;

მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავდება ახალი, დამხმარე სადიაგნოსტიკო ტესტ-მეთოდ(ები) პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნეების ადრეული დიფერენცირების მიზნით.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები: კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები პროსტატის სიმსივნური ტრანსფორმაციის მექანიზმების შესახებ ფუნდამენტური ცოდნის გაღრმავების საშუალებას იძლევა, რაც კლინიციტებს მკურნალობის ეფექტური გზების მოძიებაში შეუწყობს ხელს.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, აღნიშნული პათოლოგიის კვლევა ინტენსიურად მიმდინარეობს მსოფლიოს არაერთ კვლევით ცენტრში და იგი ძირითადად მათთვის მისაღები, ერთი რომელიმე გარკვეული მიმართულებით შემოიფარგლება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ განხორციელებული კვლევები აღნიშნული პათოლოგიის ერთდროულად სხვადასხვა კუთხით შესწავლას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, არსებობს, როგორც გადაკვეთის წერტილები მსოფლიოში მიმდინარე მსგავს კვლევებთან, ასევე განსხვავებული კვლევები და მიდგომები.

ზემოთ აღნიშნულ მეცნიერთა ჯგუფის აზრით, მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს ეფექტიან მკურნალობას, რაც უპირველეს ყოვლისა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხსა და ხანგრძლივობაზე აისახება.

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულ იქნა ისეთ მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში, როგორცაა: J Urology (USA), "Experimental Oncology"; "European Medikal, Health and Pharmaceutikal journal", Biophysics", "British Journal of Urology", "Georgian Medical News".

2012 წელს აღნიშნული მიმართულებით კვლევის შედეგებზე დაყრდნობით პროფესორ თემურაზ ჩიგოგიძის ავტორობით გამოიცა მონოგრაფია: „წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) სიმსივნეების მედიკო-ბიოლოგიური ასპექტები“.